# საარბიელო

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 9 ოქტომბერი 2003 №191 (1962) ფასი 50 თეთრი

# მოტივაცია? ღირსება!
## დღეს მოსკოვში ერთიან საქართველოს ნახავენ



ბადრი კიკნაძის ფოტო

დღეს თბილისიდან მოსკოვს საქართველოს ნაკრების ნაწილი გაემგზავრა.

დღეს ამ ნაწილს მოსკოვში მეორე ნაწილი დახვდება.

დღეს ნაკრების ორი ნაწილიდან ერთი გუნდი უნდა შედგეს, რომელიც „საბჭოთა დერბიმდე" ორი დღით ადრე ჩაატარებს პირველ ვარჯიშს — კაცს ენა სხვანაირად ვერ მოუბრუნდება: მიდგომა უსერიოზულესია!

არადა, დღეს, მატჩამდე ორი დღით ადრე, რუსული პრესა აჭრელებულია მასპინძელი ქვეყნის ფეხბურთელთა გამონათქვამებით, რომ ეს მათი გუნდის უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა, რომელიც უკრაინასთან 1997 წლის ისტორიულ თამაშს თუ შეედრება და სხვა.

ჩვენთვის, ქართველებისთვის კი, ამ შეხვედრას ევრო 2004-ზე მოხვედრა-არმოხვედრის თვალსაზრისით მნიშვნელობა მართლა არ აქვს. ერთადერთი, რის გამოც ფეხბურთელებმა შესაძლოა „ფეხი გაანძრიონ", ღირსებაა, ხოლო ღირსება ისეთი რამ არის, რომ თამაშამდე ორი დღით ადრე შეერთებულ ადამიანთა ორ ჯგუფსაც შეიძლება მოჭარბებულად ჰქონდეთ.

მხოლოდ ამისლა გვეიმედება.

## RUGBY WORLD CUP 2003
### ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

საქართველოს ნაკრები ინგლისთან ნინასამატჩოდ პერთის სანაპიროებზე იმუხტება და დღეში ორჯერ ვარჯიშით ცდილობს, „ვარდებთან" რკენას მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს.

ვარჯიშებს შორის გუშინ ბორჯღალოსნებმა მოსვენებას ქველმოქმედება არჩიეს და ჩვენების ქომაგ ავსტრალიელთა კლუბს მათსავე მიპატიჟებით ესტუმრნენ.

# საქველმოქმედო განტვირთვა
## მორჩა კინო, წადით ვარჯიშზე



ზაზა ქასაშვილი

— ძალიან სასიამოვნო შეხვედრაა. აქ უამრავი ხალხია, ჩვენი ბიჭები ავტოგრაფების დარიგებას ვერ აუდიან. აქაურებს დიდ პატივში ვყევართ — გვითხრა გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა, პერტში რომ დავუკავშირდით.

— თქვენ მასპინძლებში ქართველები თუ არიან?

— არა. აქ დაახლოებით შვიდასი ავსტრალიელია, რომლებმაც ჩვენი ქომაგობის სურვილი გამოთქვეს. პაბს ვერ დავარქმევ, უფრო კლუბის მაგვარი რამეა. თანაც ახლა მსურველები ფულს აგროვებენ, რათა ეს თანხა ჩვენს რომელიმე ბავშვთა სახლს გამოუგზავნონ. ამ ყველაფერმა რაღაც აქციის სახე მიიღო, ჩვენი ბიჭებიც დებენ ფულს.

— მერე რას აპირებთ?

— გაგიკვირდებათ და, ქართულ ფილმის „მიმინოს" ნახვას. თურმე ილო ზედგინიძეს წამოუღია კასეტა და სასტუმროში რომ დავბრუნდებით, აუცილებლად ვუყურებთ.

— ვარჯიში?

— ხვალ დილით ბიჭები ოკეანის სანაპიროზე იმუნძულებენ, მერე ტრენაჟორები და ბოლოს ორკარა. ისე არ გაიგოთ, თითქოს სალაბუცოდ იცლიან, უბრალოდ, დროდადრო ასეთი განტვირთვა საჭიროა.

ბაჩო სვანიძე

# ვაა, გაფიცვა?!
## ინგლისმა გადაიფიქრა



გუშინ ინგლისის ნაკრებმა, შაბათს თურქეთთან ევროშესარჩევის ომად მონათლული მატჩი რომ ელის, ივარჯიშა. ამ ამბავში უჩვეულო თითქოს არაფერია, უჩვეულო ის იყო, სვენ გორან ერიკსონს ფეხბურთელებმა დილით რომ განუცხადეს: რა ვარჯიში, სტამბოლში არ წავალთ, გავიფიცეთო. ასე გამოხატეს პროტესტი ინგლისის რჩეულმა ფეხბურთელებმა რიო ფერდინანდის ნაკრებიდან მოკვეთის გამო... თუმც გუშინ საღამოს ნაკრებმა ჩვეულად ივარჯიშა.



# ეროვნულზე ეროვნულის ნახევარი

## მწვრთნელ-პრეზიდენტმა ჟორდანიამ ფორვარდობაც იკისრა

დღეს საქართველოს ნაკრები მოსკოვს გაემგზავრა რუსეთთან 11 ოქტომბრის მატჩისთვის სათამაშოდ. მატჩისთვის, რომელსაც ჩვენებისთვის ოდენ პრესტიჟისა, მეტოქისთვის კი უაღრესად მნიშვნელოვანი ეთქმის.

გუშინ ეროვნული გუნდი ორად იყო გაყოფილი, ათი ფეხბურთელი „ეროვნულზე" მერაბ ჟორდანიასა და თემურ ჩხაიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა, შვიდიც მოსკოვში, ოთარ გაბელიას მეთვალყურეობით. რევაზ ქემოკლიძე კი არც იქით იყო, არც აქით, ახალგამოჯანმრთელებულს სათამაშო პრაქტიკა აკლია და სწორედ ამიტომ, ეროვნული გუნდის თავკაცობამ ქემოკლიძეს გუშინდელ „ლოკომოტივ" — ახალგაზრდული ნაკრების მატჩში მონაწილეობა ურჩია.

„ეროვნულზე" ვარჯიშობდნენ: გვარამაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, კვირკველია, დარასელია, ბურდული, დემეტრაძე, ჯამარაული, ნემსაძე, ხიზანიშვილი, ამ ფეხბურთელებს ერთი ჭაბუკი მეკარეც დაემატა, რომელიც გვარამაძეს უწევდა მეწყვილეობას და გაბელიას არყოფნაში ნაკრების მეკარეს ავარჯიშებდა.

მოსკოვში — კობიაშვილი, იაშვილი, ცქიტიშვილი, ლომაია, ასათიანი, აშვეთია, კორღალიძე — გაბელიას „შეგირდებიც" დროულად ჩასულან და აქ რომ გაგანია ვარჯიში იყო, მოსკოვიდანაც მაშინ დარეკეს, ყველაფერი კარგადააო. მოსკოვში შოთა არველაძეც უნდა ჩასულიყო, თუმცა, ალბათ, იცით, ის მუხლმა შეაწუხა და კიოლნიდან გლაზგოში გაბრუნდა.

„ეროვნულზე" ვარჯიშმა კი ხალისიანად ჩაიარა. ჟორდანიამ ბიჭები ექვს საათზე შეკრიბა და იქამდე ავარჯიშა, ვიდრე არ ჩამობნელდა. მწვრთნელი ფეხბურთელებს უფრო გვერდიდან უცქერდა, დაკონსპექტებულ მითითებებს კი ჩხაიძე იძლეოდა.. მერე, როცა კვადრატები და სხვა ჩვეული სავარჯიშოები მორჩა, „ორი კარიც" გაჩაღდა, მერაბ ჟორდანიამაც გააგორა და ერთი გოლიც შეაგდო.

ნაკრების ექიმების თქმით, მოედანზე მყოფი ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა, არაფერს უჩივიან.

ორსაათიანი ვარჯიში გვარამაძის „დაბომბვით" დამთავრდა, „დაბომბვითო" ვთქვით, თუმცა მოგებული მეკარე კი დარჩა.

ჟორდანიამ ფეხბურთელები გუშინ დაითხოვა, ბიჭები დანაწილდნენ, დილით კი აეროპორტში შეიკრიბნენ და მოსკოვის ორსაათიან გზას დაადგნენ, მოსკოვიდან 40 წუთის სავალზე კი ქალაქგარეთ სასტუმრო „მერიდიანში" დაბინავდებიან.

**კობა ინასარიძე**



ბაჩო კოთოლაშვილის ფოტო



# ხიზანიშვილის თხოვნა

## პროფესიონალები შანსებზე არ ლაპარაკობენ



ბაჩო კოთოლაშვილის ფოტო

*რუსეთი — საქართველო, მატჩი, რომლის მნიშვნელობაც ყველა ქართველს კარგად უნდა ესმოდეს. საშპათო შეხვედრა რუსებთან ჩვენი გუნდისთვის სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომტანია.*

*ჩვენში აუტსაიდერობა უკვე ალარავის უკვირს. სამწუხაროდ, ნაკრებმა ამას დაგვაჩვია, თუმცა ნაჩვენი ვართ სხვა ამბავსაც — ეროვნული გუნდი ბოლოსკენ ერთს „ყარაულის თოფივით" გაისვრის-ხოლმე და სამომავლო ციკლისთვის ისევ გვაიმედებს.*

*რა იქნება ახლა? იქნებ, კიდევ „გაისროლონ" ჩვენებმა? „გაისროლონ", რადგანაც მეტოქე რუსია, ის რუსი, რომელიც საქართველომ აპრილში ერთხელ უკვე შეარყია.*

*მოკლედ, ჩვენ რაც უნდა ვწეროთ და ვილაპარაკოთ მომავალი მატჩის მნიშვნელობაზე, საქმე ფეხბურთელების საკეთებელია, ყველაფერი მათზეა დამოკიდებული.* ***ზურაბ ხიზანიშვილი*** *კი მიუხედავად ასაკისა, ის ფეხბურთელია, ვისიც ყველაზე მეტად თუ არა, ძალიან რომ გვეიმედება, მით უმეტეს, ასეთი თამაშის წინ. მას გუშინ „ეროვნულ" სტადიონზე შევხვდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.*

— ქართველი ქომაგის კარგად მესმის, ვიცი, რომ უამრავი ჭორია რუსეთ — საქართველოს მატჩზე, რაკი 11 ოქტომბრის შეხვედრის წინ ჩვენ უმოტივაციოდ ვართ, ამბობენ, რუსებთან თამაშს უბრძოლველად დავთმობთ — გვითხრა ზურამ — ყველას ვთხოვ, ასეთ მითქმა-მოთქმას არ აყვეს. ჩვენ ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ, შედეგზე კი წინასწარ, აბა, რა გითხრათ.

**— რას ნიშნავს შენთვის 11 ოქტომბრის მატჩი?**

— ნიშნავს, რომ მეტოქე რუსეთია და მატჩიც განსაკუთრებული მნიშვნელობისა იქნება. რუსეთი ერთხელ უკვე დავამარცხეთ, ვიმედოვნებ და საქართველოსთან ერთად ძალიან გავიხარებ, თუ მოვიგებთ. თუმცა, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება. როგორც ჩვენ გვსურს რუსის დამარცხება, ისე სურს მას ქართველის ჯობნა. თანაც რუსეთი ხომ სამი ქულით ევროპის ჩემპიონატზე მოხვდება. ძნელია, როცა უმოტივაციო ხარ, თუმცა მეორეა, რომ პროფესიონალი ვალდებულია ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატაროს. პირადად ჩემთვის სულ ერთია, ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს თუ — არა. ვიცი, რომ ჩვენი მეტოქე რუსეთია.

**— რუსეთის ნაკრების ბოლო თამაშები ნანახი გაქვს?**

— არა, არ მინახავს. ვფიქრობ, აპრილში თბილისში რომ რუსებს გუნდი ჰყავდათ, ახლა მნიშვნელოვნად გაძლიერებული იყოს. აპრილში კი, ყველამ ნახა — რუსებს ორი თავით ვაჯობეთ. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ მწვრთნელი ჩვენც შეგვეცვალა და რუსებსაც, მაშინდელ და ამ გუნდებს შორის სხვაობა მცირე თუ იქნება.

**— ვის გამოარჩევდი რუსეთის გუნდიდან?**

— სმერტინს, მაღალი კლასის ფეხბურთელია. გავიგე, თითქოს ტრავმა აწუხებს და შესაძლოა, ჩვენთან ვერ ითამაშოს. რუსებს თუ სმერტინი დააკლდათ, მეტოქეს დიდი ძალა მოაკლდება. გამოვარჩევდი სიჩოვსაც, სხარტი და სახიფათო ფორვარდია, მით უფრო სახიფათო იქნება ის მოსკოვში თამაშისას.

**— კალაძისა და არველაძის არყოფნით საქართველოს ნაკრებს უფრო მეტი ძალა არ დააკლდება?**

— ალბათ. ძნელია, როცა მატჩამდე სამი დღეა დარჩენილი „მილანისა" და „რეინჯერსის" ფეხბურთელების სრულფასოვანი შემცვლელი გამონახო. რა თქმა უნდა, მათ რომ ეთამაშათ, ჩვენც უფრო კარგ განწყობაზე ვიქნებოდით. თუმცა, განწყობა ახლაც საბრძოლოა.

**კობა ინასარიძე**

### იტალია

**სერია B. II ტური**

ასკოლი 0:1 ჯენოა
ატალანტა 0:0 ვენეცია
ლივორნო 3:0 მესინა
პალერმო 1:1 პიაჩენცა
პესკარა 0:0 ფიორენტინა
ტერნანა 2:0 ვერონა
ტორინო 0:1 სალერნიტანა
ტრევიზო 2:1 ალბინოლეფე
ტრიესტინა 2:1 აველინო
ვიჩენცა 1:1 ბარი

### იაპონია

**თასის 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები**

ივატა 0:2 *კაშიმა* (1:0)
ურავა 6:1 შიმიცუ (0:1)

### ინგლისი

**კონფერენსლიგა. XIII ტური**

ბარტონი 1:1 ჩესტერი

### ესპანეთი

**თასის 1/32 ფინალი**

ლეონესა — ალბასეტე *დღეს*
ირუნა 0:2 *ოსასუნა*
ტერასა 0:1 *ლევანტე*
ბარაკალდო 0:1 *რასინგი*
მირანდესი 1:2 *სარაგოსა*
ბადახოსი 1:4 *ბეტისი*
ზამორა 0:2 *ვალიადოლიდი*
ნუმანსია 0:1 *სიუდად მურსია*
ოვიედო 1:2 *სოსიედადი*
სპორტინგი 0:1 *ეიბარი*
*სალამანკა* 1:0 რაიო ვალეკანო
საბადელი 2:4 *მალიორკა*
ფეროლი 1:1დ.დ.(პენ.1:2, 1:1) *ალავესი*
ხეტაფე 1:2 *ლევანტესი*
კონკენსე 2:3 *ატლეტიკო*
ველინდარიო 0:1დ.დ. (0:0) *ალხესირასი*
ლორკა 1:2 *მურსია*
სეუტა 0:1დ.დ. (0:0) *მალაგა*
კასერენო 1:2 *ხერესი*
უელვა 0:0 (პენ.2:3) *ალმერია*
ელჩე 2:3 *ესპანიოლი*
*ლანსაროტე* 4:2 პოლი ეხიდო
ლას პალმასი 1:2დ.დ. (1:1) *კორდოვა*
ტენერიფე 0:1დ.დ. (0:0) *კადისი*
პონტევედრა 1:1დ.დ.(პენ.4:5, 1:1) *სელტა*

### ფინეთი

**თასის 1/2 ფინალი**

*ჰიკ* 1:1დ.დ.(პენ.3:1, 1:1) კტპ

### ირლანდია

**თასის 1/2 ფინალი**

სენტ პატრიკსი 2:2 ბოჰემიანსი



# რატომ ნერვიულობთ?

## მიხეილ აშვეთიამ რუსეთი გააშიშვლა

ორიოდ დღეც და საქართველოს ნაკრები მორიგ შესარჩევ ციკლს დაასრულებს. თუმცა მანამდე რუსეთია — ჩვენი მუდმივი მეტოქე. მეათე ჯგუფის ბოლოადგილოსანი საქართველო ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად მოქართულ რუსეთს დაეჭიდება.

11 ოქტომბრის რუსეთ — საქართველომ უკვე გვარიანი ინტერესი გამოიწვია. მართალია, საქართველოში ამ ინტერეს უიმედობა უფრო სჭარბობს, მაგრამ ცხადია, სასიამოვნო მოულოდნელობა ყოველთვის ტკბილად შესარგებია.

მეტოქეები კი ემზადებიან. ვინ როგორ, ეს კიდევ საკითხავია. მომზადება და საბრძოლო განწყობა ყველაზე კარგად ზეგ, მოსკოვში გამოჩნდება.

რუსული პრემიერლიგის ყველაზე „კაშკაშა" ქართველი ფეხბურთელი **მიხეილ აშვეთია** კი, როგორც ყოველთვის, მადაზეა. „ლოკომოტივის" მთავარი მეგოლე მასპინძლებს ომს პირდება. მას მოსკოვში გუშინ დავუკავშირდით.

— რუსებთან სათამაშოდ ჩვეულად ვემზადებით. ვვარჯიშობთ და ერთი სული მაქვს, მატჩი როდის დაიწყება. მართალია, პრეტენზია უკვე არაფერზე არ გვაქვს, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ თამაშს სხვა ელფერი აქვს.

**— მოსკოვში ამ მატჩს დიდი ინტერესი ჰქონია...**

— ძალიან მონდომებულები არიან. ხალხი საზეიმოდ ემზადება. ყველას ჰგონია, რომ ევროპის ჩემპიონატზე გასულები არიან. ყველა ბილეთი გაყიდულია, სტადიონი უეჭველად ბოლომდე გაივსება.

**— შოთა არველაძე რომ არ იქნება, გაიგებდი...**

— ჰო, მაგრამ ამას უკვე არაფერი ეშველება. შოთა ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია. უიმისოდ მაგრად გაგვიჭირდება, მაგრამ ბრძოლას წინ რა უდგას? ვინც მოედანზე გავა, ყველა ბოლომდე დავიხარჯებით.

**— რით არის ეს მატჩი მნიშვნელოვანი საქართველოსთვის?**

— ბოლო ადგილზე არ უნდა ჩავრჩეთ. ყველანაირად ვეცდებით, რომ ჯგუფში ალბანეთს მაინც გავუსწროთ.

**— მხოლოდ ეს?**

— რა თქმა უნდა, ისიც, რომ მეტოქე რუსეთია.

**— და ეს რას ნიშნავს შენთვის?**

— პირველ მატჩს თბილისში რაც მოჰყვა, ყველამ იცის. რუსეთ — საქართველო სულ დაძაბული იქნება. ასევეა ახლაც. რა მნიშვნელობა აქვს, შინ თამაშობ თუ სტუმრად? ჩვენ ვიცით, რომ რუსეთთან წარმატების შემთხვევაში საქართველოს ძალიან გავახარებთ. ეს არის და ეს.

**— რის ხარჯზე შეუძლია საქართველოს რუსებთან წარმატებით თამაში?**

— მთავარი განწყობაა. უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენ გამარჯვება შეგვიძლია. თან რუსები მაგრად ნერვიულობენ, მგონი პანიკაშიც არიან. ჩვენ კი ასეთი პრობლემები არ გვაწუხებს.

**— „ლოკომოტივზეც" გკითხავ. ახლახან ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი გქონდა...**

— სულ სხვა დონეა. ყველა თამაში ძალიან რთული და დაძაბულია, მაგრამ აქაც ყველამ დაინახა, რომ წარმატების მიღწევა შეიძლება. მრისხანე „არსენალს" ხომ თანაბრად ვეთამაშეთ.

**— გოლის გატანაც შეგეძლო...**

— მომენტები მართლა მქონდა, მაგრამ ვერ ვივარგე. მაინც უცხო ტურნირია და ფსიქოლოგიური ტვირთი გაწევს. არა უშავს, თანდათან შევეჩვევი და ალბათ გოლებსაც გავიტან.

**— ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან" თამაშის შემდეგ კი პრემიერლიგაში „ტორპედოსთან" მოულოდნელად დამარცხდით. გადაღლის ბრალი იყო?**

— მე უფრო ხელოვნურსაფარიან მოედანს დავაბრალებ. ასეთ „სინთეტიკაზე" თამაში სისულელეა. საერთოდ არ ვაპირებდით თამაშს, მაგრამ...

**— ეგ როგორ?**

— ასეთ საფარზე ფეხბურთის გარდა ყველაფერს ითამაშებ. „ტორპედოს" ხელმძღვანელობას „ლოკომოტივმა" სთხოვა კიდეც, ჩვენს სტადიონზე გვეთამაშა, მაგრამ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა უარი თქვა. წინააღმდეგი კი ვიყავით, მაგრამ რალას ვიზამდით. სამწუხაროდ, დავმარცხდით. ეგ არაფერი, სიტუაციის გამოსწორება კიდევ შეიძლება.

**კახა ზალამბერიძე**

# ემოცია, ასოციაცია და მოტივაცია

## რას ფიქრობს და ამბობს რუსი

*რუსეთში დაახლოებით იგივე ხდება, რაც ჩვენთან იყო „ორთავე არწივთან" საოქტომბრო და სააპრილო მატჩების წინ. მაშინ საქართველოს რუსის დამარცხება ისევე სჭირდებოდა, როგორც დღეს რუსეთს საქართველოს წაქცევა. თუმცა თბილისურ და მოსკოვურ სიტუაციებს შორის სხვაობა მაინც არის. საქართველოს შელახული ეროვნული თავმოყვარეობის აღსადგენად სჭირდებოდა ექსდერჟაველთა მოხრჩობა, რუსი კი პრაქტიკულია, მხოლოდ ქართველებთან მოგება უხსნის გზას პორტუგალიისკენ და უფრო ამ მხრივ არის ავორებული საამატჩოდ დიდი აჟიოტაჟი. რუსეთს პირველით სჭირდება სამი ქულა და ამიტომაც იქ საქართველოზე მეტად პორტუგალიას ახსენებენ. თუმცა რუსი მედიელები ერთსულოვნად ცდილობენ თავიანთი ფეხბურთელებისთვის ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვივებას. ამის დასტური ის ხუთი შეკითხვაც არის, ჟურნალისტებმა ნაკრების ფეხბურთელებს რომ დაუსვეს. ამ ხუთიდან ჩვენთვის გამოსარჩევად საინტერესო ერთი კითხვაა — რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოსთან დაპირისპირება: რიგით თამაშს, მთავარ მატჩს თუ ცხოვრების ბრძოლას? რუსეთთან თბილისური მატჩის წინ ქართველებისთვის რომ დაესვათ ასეთი შეკითხვა, პასუხი ალბათ ერთსულოვანი იქნებოდა — მაშინ რუსთან ომი თითოეული ქართველისთვის ცხოვრების ბრძოლა იყო. რუსი ჟურნალისტებიც თავიანთი რჩეულებისგან ალბათ მსგავს პასუხებს ისურვებდნენ, თუმცა იარცევის ბიჭების უმრავლესობა ასე არ ფიქრობს. მხოლოდ კარიაკამ თქვა, ეს მატჩი ჩემთვის ცხოვრების თამაშიაო, დანარჩენების პასუხი კი ძირითადად ერთგვაროვანი იყო — მნიშვნელოვანი, სეზონის უმთავრესი თამაშიო. სარტაკლამ ეგორ ტიტოვმა სულაც განაცხადა, არანაირ ემოციას არ ვგრძნობ, რიგითი მატჩი გვაქვს და მოსაგებად გავალთ მოედანზეო. იგივე თქვა დმიტრი ბულიკინმაც, თუმცა ის, რომ რუსებს ქართველებთან საბრძოლო განწყობა არ აკლიათ, მათი ინტერვიუებიდანაც ჩანს.*



### ევგენი ალდონინი

— ქართველებთან მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სატურნირო თვალსაზრისით. ჩვენი მიზანი პორტუგალიაში გამგზავრებაა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საამისოდ.

**— ქართველები მოსკოვში აუტსაიდერებად ჩამოვლენ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, არც ითამაშონ მთელი ძალით...**

— ვერ დაგეთანხმებით. საქართველო სატურნირო ცხრილისთვის არასდროს თამაშობს რუსეთთან. ქართველებისთვის და ყოფილ საბჭოეთში შემავალი სხვა ქვეყნებისთვის რუსეთის დამარცხება ღირსების საქმეა. ასე რომ, ვფიქრობ, მეტოქისგან შეღავათს არ უნდა ველოდოთ, მეტიც, საქართველო შეეცდება იმის დამტკიცებას, რომ შემთხვევით არ მოუგია აპრილში თბილისურ მატჩში რუსეთისთვის.

### ალექსანდრ კერჟაკოვი

**— რა შედეგით დაასრულებთ მატჩს?**

— არ მსურს პროგნოზის გაკეთება. ერთი რამ ვიცი, მოედანზე იმიტომ გავალ, რომ გავიტანო.

**— როგორ უნდა ითამაშოთ, რომ ქართველებს მოუგოთ?**

— პირველ რიგში მეტოქეს ჩვენი თამაში უნდა მოვახვიოთ თავს. პირადად მე მხოლოდ ერთი ფორმულა მაქვს მოსაგებად — გოლი უნდა გავიტანო. თუ ეს ვერ შევძელი, სხვას უნდა გავატანინო... ჩვენ პორტუგალიაში უნდა წავიდეთ.

### ეგორ ტიტოვი

**— რა ემოცია გაქვთ ამ მატჩის წინ?**

— ფაქტობრივად არანაირი. ძალიან დავიღალე სამარაში გამართული ბოლო მატჩით და ჯერაც არ აღმიდგენია ძალა.

**— რუსეთ — საქართველოს დაპირისპირებას დიდი აჟიოტაჟი ახლავს. ფსიქოლოგიურად ხომ არ გთრგუნავთ ეს სიტუაცია?**

— მსგავსს ვერაფერს განვიცდი. მახსენდება მოსკოვური მატჩი უკრაინასთან. აი, მაშინ იყო თუ იყო ემოცია. გადაჭედილი სტადიონის დანახვისას გულს ბაგაბუგი გაუდიოდა.

**— ტრიბუნები ახლაც სავსე იქნება.**

— ჰო, მაგრამ რა ვქნა, უემოციოდ ვარ და არა მგონია, შაბათამდე რამე შეიცვალოს.



### დმიტრი ბულიკინი

**— შეიძლება ითქვას, რომ ქართველებთან მატჩი თქვენთვის ცხოვრების თამაშია?**

— არა. ეს არის უბრალოდ მატჩი, რომელმაც გზა უნდა გაგვიხსნას ევროპის ჩემპიონატისკენ.

**— როგორ ფორმაში ხართ საამმატჩოდ?**

— შვეიცარიასთან მიღებული ტრავმის კვალი ჯერაც არ გამქრალა ჩემი ფეხიდან, თუმცა თავს არ დავზოგავ და შევეცდები, გოლებით შევეწიო რუსეთს.

*ბოლოს რუსთა კაპიტან ვიქტორ ონოპკოს მოსაზრებას გაგაცნობთ. ონოპკომ რამდენიმე დღის წინ რუსული საზომით დიდი აღიარება მოიპოვა, მას „ეროვნული ნაკრების ლიდერის" ტიტული მიანიჭეს.*

### ვიქტორ ონოპკო

**— ისე მოხდა, რომ საქართველო რუსეთთან მატჩის წინ უმოტივაციოა. ეს ფაქტორი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს?**

— ძნელი სათქმელია, ეს პლუსია თუ მინუსი. ერთი მხრივ, სტუმრებს დასაკარგი არაფერი აქვთ და რაც ძალუძთ, იმის დემონსტრირებას შეეცდებიან. მეორე მხრივ, ჩვენ, ქართველთაგან განსხვავებით, სისხლი უფრო აგვიდუღდება, რაკიღა მოტივაცია მეტოქეზე მეტი გვაქვს, თუმცა ვფიქრობ, ეს ფაქტორი გადამწყვეტი უნდა აღმოჩნდეს. რუსეთი ვალდებულია, საქართველო დაამარცხოს.





## ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი
### შესარჩევი ტურნირი (ესტონეთი). I ტური

**ბელგია 3:0 საქართველო**

**საქართველო (სასტარტო): ჯინჭარაძე, გოგაური, კალაძე, ჭელიძე, მიქიაშვილი, ლოლაძე, გრიგალაშვილი, ხოჯავა, ფიფია, იაშვილი, ელიავა**
**მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი**
**მსაჯი: იონას ერიკსონი (შვედეთი)**

**გუშინ** ტალინის „კადრიოუზე“ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველივე მატჩში იწვნია მარცხი — ბელგიელმა თანატოლებმა კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებს 3:0 გადაუხტნეს.

გუშინვე ჩვენებურებთან დაკავშირება ვერაფრით მოვახერხეთ, ამიტომ არც ის ვიცით, რატომ და რა მიზეზით განადგურდა ასე უიმედოდ საქართველო.

აქ ისიც გავიხსენოთ, რომ ბელგიის 19-წლამდელთა ნაკრები ფაქტობრივად ის გუნდია, ოთარ კორღალიძის გაწვრთნილი ბიჭები თბილისშიც რომ დაამარცხა ევროშესარჩევის წინა წლის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე. მაშინ ქართველებმა ფარერელებს და უკრაინელებს მოუგრიხეს კისერი და მეორე ეტაპზე გააღწიეს.

თბილისური 0:1 ესტონეთში ბელგიელებმა 0:3-ად გვიქციეს და ამადაც ვფიქრობთ, რომ კობა ჟორჟიკაშვილის დანაპირები ისეთივე ფუჭი და არაფრისმთქმელია, როგორც ქართველი მწვრთნელებისგან ვართ ნაჩვევნი — ჩვენ ჯგუფიდან გასასვლელად აუცილებლად ვიბრძოლებთო!

**გიორგი მუშკუძე**

**იტალია 2:0 ესტონეთი**

1:0 სორემინო (18), 2:0 ალბერტი (45)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# არველაძე VS არველაძე
## გაიმარჯვა რკინიგზამ



**გუშინ** საქართველოს ოცდაერთწლამდელებს სარუსეთო რეპეტიცია ჰქონდათ — ამხანაგური მატჩი თბილისის „ლოკომოტივთან“. ორივე გუნდის მწვრთნელი რევაზ არველაძეა და არველაძე VS არველაძე რკინიგზელი არველაძის გამარჯვებით დამთავრდა — „ლოკომოტივმა“ 2:1 მოიგო.

ჯერ ოცდაერთწლამდელები დაწინაურდნენ მიხეილ ბობოხიძის გოლით. „ლოკომოტივმა“ ანგარიში პირველ ტაიმშივე გაათანაბრა — მიხეილ სოსელიამ კარგად ისარგებლა ზურაბ მამალაძის შეცდომით. მეორე ტაიმში უპირატესობას „ლოკომოტივი“ ფლობდა და ლადო კაკაშვილის ფლანგური ჩაწოდებით თეიმურაზ ბურნაძემ გამარჯვების შეაგდო.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*ახალგაზრდული ნაკრები: მამალაძე, ორბელაძე (ახალკაცი), ინწკირველი (ტყებუჩავა), სალუქვაძე, დეკანოსიძე (მარცვალაძე), სირაძე, ციმაკურიძე, ახალაია (გოცირიძე), გამეზარდაშვილი (გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე), ამისულაშვილი, ბობოხიძე.*

*„ლოკომოტივი“: გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე (კაკაშვილი), ქემოკლიძე (ძამსაშვილი), უგრეხელიძე, ზამთარაძე, მანწკავა (მიქაძე), სოსელია, ბურნაძე, რეხვიაშვილი, გოგინაშვილი, სიჭინავა.*



**ლაშა ჭელიძემ (№4) და მისმა თანაგუნდელებმა თბილისში გაცნობილ ბელგიელებს ესტონეთშიც სამი ქულა დაუთმეს**

*საამსეზონო მეხუთე სხდომა გამართეს გუშინ დისციპლინარებმა. შეხვედრა 12-საათიანი „კურიერის“ ყურებით დაიწყო და ოზურგეთული აურზაურის გარჩევით დასრულდა. „კურიერიანად“ სხდომამ ნახევარ საათს გასტანა და ჯამში იმდენი თანხა მოაქუჩა, მე და თქვენ კარგა ხანს საწუწნო რომ არაფერი გვექნებოდა*

# აბა, დაიგინე!
## ტყებუჩავას სკამი ტრიბუნაზე დაუდგეს



**გიორგი ყიფიანს ტრიბუნების გინება ორმატჩიან უქმობად დაუჯდა**

**გორში** „დილასთან“ მარცხით გულდათუთქული „ბათუმის“ თავკაცი ვალერიან ჩხარტიშვილი პრესკონფერენციაზე არ მივიდა და გუშინ საჯარიმო 100-ლარიანი ქვითარი გამოუწერეს.

პრესკონფერენციას უგანა „მცხეთასთან“ გასვლითი მატჩისას „კოლხეთის“ გამწვრთნელმა ჯუნგლი ტყებუჩავამ, თუმც მანამდე ფოთელთა თავკაცმა ინსპექტორ-მსაჯების გინებაც მოასწრო და სამმატჩიან დისკვალიფიკაციასთან ერთად 250 ლარის გადახდაც მოუწევს. ტყებუჩავასთან ერთად მსაჯებს აგინა ფეხბურთელმა ზაველ ლალანიძემაც. კოლხი ნახევარმცველი სამი მატჩით მოცდება და 150 ლარს შეელევა.

„მცხეთა“ — „კოლხეთის“ მატჩში კიდევ იყო დარღვევები — მე-80 წუთზე თემურ მალანია და ლაშა ამბიძე წაიკიდნენ, სიტყვიერი შელაპარაკება მუშტის ტრიალში გადაიზარდა და მოთმინებადაკარგულმა ზუგდიდელმა არბიტრმა კახა მესხმა ორივე ფეხბურთელი მოედნიდან დაითხოვა. ერთმანეთში ჩხუბი მეტოქეებს 3-3 მატჩიან დისკვალიფიკაციად და 150-150 ლარიან ჯარიმად დაუჯდათ.

გინება იყო ბოლნისშიც 27 სექტემბერს. „სიონი“ — „ტორპედო“ დაძაბული გამოდგა. ქუთაისელი ნახევარმცველი გიორგი ყიფიანი ქვემოქართლელთა ფანებმა „წამოიკიდეს“, ფეხბურთელიც უყოყმანოდ აჰყვა მაყურებლის პროვოკაციას და გინება არ დაიზარა ტრიბუნების მისამართით, რისთვისაც სამართლიანად დაითხოვა მეშკოვმა მოედნიდან. რაღა თქმა უნდა, დისციპლინარებმა ყიფიანს იმ მატჩში გაცდენილი წუთები არ აკმარეს და გუშინ ორმატჩიანი და 100 ლარიანი ჯარიმაც გამოუწერეს. აქვე ვთქვათ, რომ ყიფიანმა სასჯელი სანახევროდ მოიხადა, რაკიღა ბოლო ტურში „დილასთან“ არ უთამაშია.

იმავე დღეს გორში არბიტრ დავით სანაიას აგინა ბათუმელმა ვიტალი დარჩიძემ. სანაიას მოხსენებით ბარათში, გუშინ რომ წაიკითხეს, ეწერა — მრავალმნიშვნელოვნად მაგინა დარჩიძემო. დისციპლინარებმა დარჩიძის მაღალფარდოვანი გამოსვლა სამმატჩიან დისკვალიფიკაციად და 150-ლარიან ჯარიმად შეაფასეს.

სათამაშო ეპიზოდებში მიღებული ორი გაფრთხილებით დაუთხოვიათ მოედნიდან წყალტუბოელი ზვიად ჩხეტიანი. ასეთი რამ ჩვენში ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით და 50 ლარით ისჯება.

ბოლოს კი ოზურგეთულ აურზაურზეც ვთქვათ. „მერცხალი“ — „სპარტაკს“ სერგო კოტრიკაძე დირექტორობდა. ეს კაცი თავის მოხსენებით ბარათში ამბობს, რომ მასპინძლები 84-ე წუთზე „მერცხალის“ კარში გატანილი გოლის მართებულობამ დააეჭვა და ტრიბუნებზე არეულობა დაიწყო, რაც კენჭების სროლით და ლანძღვა-გინებით გამოხატულა. საფინალო სასტვენის შემდეგ ოზურგეთელები ამასაც არ დაჯერებულან — კენჭებისთვის შიგადაშიგ სანთებელებიც შეურევიათ და ძლივს გაუღწევიათ მსაჯებს სამშვიდობოს.

დისციპლინარებმაც ბჭობის შემდეგ თქვეს — ხუთასი ლარით დავსაჯოთ და მკაცრი საყვედური გამოვუცხადოთ ოზურგეთელებსო.

**პაატა ქვანტალიანი**



**გია ტყებუჩავას სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ენატრება**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# გაფიცვა!

## ინგლისის ნაკრები სტამბოლში უფერდინანდოდ არ მიდის


რიო ფერდინანდი

**რიო ფერდინანდმა** განაცხადა, რომ დოპინგს ცხოვრებაში არ გაჰკარებია. არადა. არადა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ 30 მილიონ გირვანქად ნაყიდი მცველი, რომლის ჯამაგირიც კვირაში ასი ათასია, ინგლისის ნაკრების შეკრებიდან გამოაძევეს და შესაძლოა, ორი წლით ფეხბურთის თამაშიც აუკრძალონ. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრებს ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩი სტამბოლში აქვს, ხოლო ამ მატჩის საგანგებო მნიშვნელობაზე იმდენი დაიწერა, რომ გამეორებით თავს არ შეგაწყენთ.

„ეს მატჩი უდიდესი მნიშვნელობის მხოლოდ ჩემთვის კი არ იყო, არამედ საკუთრივ ნაკრებისთვისაც, ბავშვობიდან დაუღალავად ვმუშაობდი, რათა იმისთვის მიმეღწია, რასაც მივაღწიე, მაგრამ საუბედუროდ გუნდიდან გამაგდეს. დოპინგზე ისევე, როგორც სხვა ფეხბურთელები, მეც მამოწმებდნენ ხოლმე, ტესტის პასუხი კი ყოველთვის ერთი იყო — უარყოფითი“ — ამბობს ფერდინანდი, რომელიც დიდი ფსიქოლოგიური ტრავმის წინაშე დგას.

მისმა ერთმა მეგობარმა ჟურნალისტებს უამბო: „რიოს ისე უყვარს ფეხბურთი, რომ შესაძლოა ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ვერ გადაიტანოს. ამაზე ფიქრიც კი მზარავს. ბოლო დღეებში იგი მხოლოდ სტამბოლის თამაშზე ფიქრობდა და მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი საერთოდ არ აწუხებდა“.

რიო ფერდინანდის ამბით ძლიერ შეწუხდა ინგლისელთა ეროვნული გუნდის შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონიც, რომელმაც ასე განაცხადა:

„მისი გაშვება საწყენია, მაგრამ ვალდებული ვარ ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებებს პატივი ვცე. როგორც მწვრთნელს, ბუნებრივია, ხელქვეით საუკეთესო შემადგენლობა მინდა, მაგრამ ამ ჯერზე რიო არ მეყოლება“.




სვენ გორან ერიკსონს ფეხბურთელებმა ვარჯიშზე უარი უთხრეს

არ მეყოლებაო? რიო ფერდინანდის ინგლისის ნაკრებში დაუყოვნებლად დაბრუნების მოთხოვნით ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას ოცდაოთხივე ფეხბურთელი გაეფიცა. ერიკსონის პირდაპირ კითხვაზე, მართლა გასწირავენ თუ არა სტამბოლში თამაშის შესაძლებლობას თუ ფერდინანდი არ დაბრუნდება, თითოეულმა პირდაპირი და ინგლისელთა გულების გამხეთქავი პასუხი გასცა — დიახ. ერთი სიტყვით, შვედს თავგზა და ვარჯიშები აერია, რის გამოც თვითმხილველთა სიტყვით, განრისხებული დადის.

„სვენი მიგდებულად და მეორეხარისხოვნად გრძნობს თავს. მისი რწმენით დღეს ყველამ მხარი მხარს უნდა მისცეს, რადგან, შაბათის მატჩის შედეგი ამაზეა დამოკიდებული“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ოფიციალურ განცხადებაში კი წერია: „რიო აგრესიულ, ხულიგნურ ქმედებაში არ არის ბრალწაყენებული და ამიტომ, სანამ ფეხბურთის ასოციაცია სასჯელს არ დაადგენს, შეუძლია ჩვეულებრივ ითამაშოს ნაკრების შემადგენლობაში“.

საგანგებო სატელეფონო ხაზზე კი უკვე ათასობით ადამიანმა დარეკა. მათ 60,2 პროცენტს სწამს, რომ ფერდინანდი სტამბოლში ვერ ითამაშებს.

**პაპუნა ძიძია**

# დამიბრუნეთ ჩემი ბალაკი!


რუდი ფიოლერი

მიხაელ ბალაკი გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ საჯიჯგნი გახდა. ფეხბურთელს ზეგ ეროვნული გუნდის მაისურის მორგება სწადია, მაგრამ კლუბის თავმჯდომარე კარლ ჰაინც-რუმენიგეს იგი ზედმეტად დასაღლელად არ ემეტება.

ამჟამად მიხაელ ბალაკი, კარსტენ რამელო და ბერნდ შნაიდერი საისლანდიოდ რუდი ფიოლერმა გამოიძახა, თუმც სამეული ბუნდესნაკრებთან ერთად სრული დატვირთვით არ ვარჯიშობს. მათ მწვრთნელმა დასვენების საშუალება მისცა, რადგან მცირე ტრავმები აწუხებთ. ფიოლერი იმედიანადაა და დარწმუნებულია, რომ შაბათისთვის თამაშს სამივე შეძლებს.

წარამარა ნაკრებში ბალაკის გამოძახება რუმენიგეს აცოფებს. „ბაიერნ“ — „ჰერტას“ მატჩის შემდეგ ფეხბურთელსა და თავმჯდომარეს შორის ხმამაღალ საუბარსაც შეესწრნენ. პატრონს მიაჩნია, რომ ბალაკმა ისლანდიის წინაამდეგ არ უნდა ითამაშოს. მას ტრავმა ჯერ ბოლომდე მოსაშუშებელი აქვს და შესაძლოა, გაუმიზეზდეს.

რჩევა-დარიგებით მობეზრებულმა ფეხბურთელმა განაცხადა: „რუმენიგესთან ჩხუბს არ ვაპირებდი. მხოლოდ ვთქვი, რომ როცა საქმე ეროვნულ ნაკრებს ეხება, უკან არასოდეს დავიხევ. ისლანდიასთან ამ სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის და ასეთ დროს სახლში მშვიდად ვერ დავჯდები.“

კარლ-ჰაინც რუმენიგემ ენა არ მოასვენა და ფეხბურთის ფედერაციას მისდგა: „ვოლფსბურგთან“ იმიტომ წავაგეთ, რომ შოტლანდიასთან ევრო-2004-ის შესარჩევი მატჩის შემდეგ „ბაიერნის“ რამდენიმე მოთამაშე ფეხმტკივანი დაგვიბრუნდა. „ვოლფსბურგის“ დამარცხების შემთხვევაში ბუნდესლიგის სათავეში ვიქნებოდით. ჩვენ ის შეხვედრა ფედერაციის სისულელეების გამო წავაგეთ. ძალიან კარგად ვიცი, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ბალაკს რა პრობლემები ჰქონდა. მერე ვინ იზარალა? ისევ ჩვენ — „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა.“

ისლანდიის ნაკრებს ბლომად ტრავმირებული ფეხბურთელი დაუგროვდა: ნახევარმცველი გილფი ეინარსონი, ფორვარდი ტრიგვი გუდმუნდსონი, ჰეიდურ ჰელგუსონი, ლარუს სიგურდსონი. რუნარ კრისტინსონისა და პეტერ მარტეინსონის თამაში საეჭვოა, ხოლო იოჰან კარლ გუდიონსონი დისკვალიფიცირებულია. „ჩვენ ბევრი დაშავებული მოთამაშე გვყავს. ამიტომ ჰამბურგში 20 ფეხბურთელს წავიყვანთ და შემადგენლობას მატჩის დღეს დავადგენ“ — თქვა ისლანდიელთა მწვრთნელმა ასგეირ სიგურვინსონმა.

**ვაჟა ხუციშვილი**


მიხაელ ბალაკი

## 11 ოქტომბერი: გერმანია – ისლანდია

### გერმანია

*მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (არსენალი, ინგლისი);*

*მცველები: ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), არნე ფრიდრიხი, მიხაელ ჰარტმანი, მარკო რემერი (სამივე ჰერტა), ანდრეას ჰინკელი (შტუტგარტი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი);*

*ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი (ბაიერნი), ფაბიან ერნსტი (ვერდერი), სებასტიან კელი (დორტმუნდი), კრისტიან რანი (ჰამბურგი), კარსტენ რამელო, ბერნდ შნაიდერი (ორივე ლევერკუზენი);*

*თავდამსხმელები: ფრედი ბობიჩი (ჰერტა), მიროსლავ კლოზე (კაიზერსლაუტერნი), კევინ კურანი (შტუტგარტი), ოლივერ ნოივილი (ლევერკუზენი)*

# შოტლანდია ბავშვს ელოდება

შოტლანდია ლიტველთა დასახვედრად ემზადება. ნაკრებს „ვულვერჰემპტონის“ ფორვარდი კენი მილერი დაუბრუნდა, რომელსაც ტრავმა აწუხებდა და ახლალა გამოჯანმრთელდა. „დიდი ხანი იძულებით ვისვენებდი და თამაში ძალიან მომენტარა. პრემიერლიგის დასაწყისი გამოვტოვე, მაგრამ უკვე ჯანზე ვარ და გოლის გატანა მწყურია“ — თქვა მოკეთებულმა მილერმა.

შოტლანდიას პოლ დიკოვი ვერ დაეხმარება და მის ნაცვლად „ბრედფორდის“ ფორვარდ ენდი გრეის უხმეს. სანაკრებოდ დონ ჰაჩინსონიც გამოიძახეს, მას შემდეგ, რაც პოლი დევლინის თამაში საეჭვო გახდა.

მცირე ტრავმა რამდენიმე ფეხბურთელს აწუხებს. მცველი სტივ პრესლი, ნახევარმცველი ბარი ფერგიუსონი, ენდი ვებსტერი და კევინ ჰარპერი ჯანს უჩივიან, მაგრამ ბერტი ფოგთსი იმედოვნებს, რომ მატჩისთვის ისინი მზად იქნებიან.

„ვესტ ჰემის“ მცველ კრისტიან დეილის მეუღლე მეოთხე შვილს ელოდება და „ჩაქუჩი“ ნაკრებს მაშინ შეუერთდება, როგორც კი ახალშობილს ნახავს.

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### 11 ოქტომბერი: იტალია – აზერბაიჯანი

**იტალია**

*მეკარეები:* ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი);

*მცველები:* ჯუზეპე პანკარო (მილანი), ალესანდრო ნესტა (მილანი), ფაბიო კანავარო (ინტერი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), ნიკოლა ლეგროტალიე (იუვენტუსი), მასიმო ოდო (ლაციო), მატეო ფერარი (პარმა);

*ნახევარმცველები:* მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), ჯენარო გატუზო (მილანი), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), სტეფანო ფიორე (ლაციო), სიმონე პეროტა (კიევო), ფრანჩესკო ტოტი (რომა);

*თავდამსხმელები:* ფილიპო ინძაგი (მილანი), კრისტიან ვიერი (ინტერი), ბერნარდო კორადი (ლაციო), მარკო დი ვაიო (იუვენტუსი), მარკო დელვეკიო (რომა), ფაბრიციო მიკოლი (იუვენტუსი)

### 11 ოქტომბერი: ჰოლანდია – მოლდოვა

**ჰოლანდია**

*მეკარეები:* ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი);

*მცველები:* მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი), ფრანკ დე ბური (გალათასარაი, თურქეთი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ბარსელონა, ესპანეთი), ანდრე ოიერი (პსვ ეინდჰოვენი), იაპ სტამი (ლაციო, იტალია), ბუდევინ ზენდენი (მიდლსბრო, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* უესლი სნეიდერი (აიაქსი), პოლ ბოსველტი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), მარკ ოვერმარსი (ბარსელონა, ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ბარსელონა, ესპანეთი), ანდი ვან დერ მეიდე (ინტერი, იტალია), რაფაელ ვან დერ ვაარტი (აიაქსი);

*თავდამსხმელები:* პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), პიერ ვან ჰოიდონკი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), როი მაკაი (ბაიერნი, გერმანია), არიან რობენი (პსვ ეინდჰოვენი)

### 11 ოქტომბერი: შვეიცარია – ირლანდია

**შვეიცარია**

*მეკარეები:* იორგ შტილი (მიონხენგლადბახი, გერმანია), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი), ფაბრის ბორერი (გრასჰოპერი);

*მცველები:* რემო მაიერი (მიუნხენი, გერმანია), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), მურატ იაკინი (ბაზელი), მარკო ცვისივი (ბაზელი), ბრუნო ბერნერი (ფრაიბურგი, გერმანია), შტეფან ანშო (ლივერპული, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* კრისტოფ შპიხერი (გრასჰოპერი), ბერნტ ჰაასი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), იოჰან ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი, გერმანია), ბენჟამინ ჰუგელი (ბაზელი), ჰაკან იაკინი (ბაზელი);

*თავდამსხმელები:* შტეფან შაპუიზა (იანგ ბოისი), ალექსანდრ ფრეი (რენი, საფრანგეთი), მარკო სტრელერი (ბაზელი), მილაიმ რამა (თუნი)

**ირლანდია**

*მეკარეები:* შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), ნიკ კოლგანი (სტოკპორტი, ინგლისი), ჯო მერფი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი);

*მცველები:* გარი ბრინი (სანდერლენდი, ინგლისი), სტივენ კარი (ტოტენჰემი, ინგლისი), გარი დოჰერტი (ტოტენჰემი, ინგლისი), სტივ ფინანი (ლივერპული, ინგლისი), იან ჰარტი (ლიდსი, ინგლისი), ენდი ობრაიენი (ნიუკასლი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერი, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* ლი კარსლი (ევერტონი, ინგლისი), დემიენ დაფი (ჩელსი, ინგლისი), კოლინ ჰელი (სანდერლენდი, ინგლისი), მეტ ჰოლანდი (ჩარლტონი, ინგლისი), გრემ კავანაფი (კარდიფი, უელსი), კევინ კილბეინი (ევერტონი, ინგლისი), მარკ კინსელა (ასტონ ვილა, ინგლისი), სტივენ მაკფაილი (ნოტინგემი, ინგლისი), სტივენ რიდი (ბლექბერნი, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* დევიდ კონოლი (ვესტ ჰემი, ინგლისი), რობი კინი (ტოტენჰემი, ინგლისი), კლინტონ მორისონი (ბირმინგემი, ინგლისი)

### 11 ოქტომბერი: საფრანგეთი – ისრაელი

**საფრანგეთი**

*მეკარეები:* ფაბიენ ბარტეზი (მანჩესტერი, ინგლისი), გრეგორი კუპე (ლიონი);

*მცველები:* ჟან-ალენ ბუმსონგი (ოსერი), მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), უილიამ გალასი (ჩელსი, ინგლისი), ბიქსენტ ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), ანტონი რეველიერი (ლიონი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია);

*ნახევარმცველები:* უსმან დაბო (ლაციო, იტალია), ოლივიე დაკური (რომა, იტალია), ლუდოვიკ ჟიული (მონაკო), ბენუა პედრეტი (სოშო), რობერ პირესი (არსენალი, ინგლისი), სილვენ ვილტორდი (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი);

*თავდამსხმელები:* ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), ჯიბრილ სისე (ოსერი), სტივ მარლე (მარსელი)

### 11 ოქტომბერი: სომხეთი – ესპანეთი

**ესპანეთი**

*მეკარეები:* იკერ კასილიასი (რეალი), სანტიაგო კანისარესი (ვალენსია);

*მცველები:* კარლეს პუიოლი (ბარსელონა), ივან ელგერა (რეალი), კარლოს მარჩენა (ვალენსია), მიჩელ სალგადო (რეალი), ფრანსისკო ხუანიტო (ბეტისი);

*ნახევარმცველები:* ხოაკინ სანჩესი (ბეტისი), ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო), ხაბი ალონსო (სოსიედადი), რუბენ ბარახა (ვალენსია), ვისენტე ფერნანდესი (ვალენსია), დავიდ ალბელდა (ვალენსია);

*თავდამსხმელები:* რაულ გონსალესი (რეალი), ხოსება ეჩებერია (ბილბაო), ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), ალბერტ ლუკე (დეპორტივო), ხოსე ანტონიო რეიესი (სევილია)

# რონი და რინო: კუპერის მტრები




იყო დრო კუპერს და რონალდოს ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი ჰქონდათ

ბრაზილიელი რონალდო მილანში დაბრუნდა!

დიახ, დაბრუნდა და მაგრადაც მოილხინა ძმაბიჭის დაბადების დღეზე. საქმე ისაა, რომ „მილანის" მეკარე ნელსონ დიდა გუშინწინ 30 წლის შესრულდა. ჰოდა, დღეობაზეც იუბილარმა თანაგუნდელების გარდა მისი განუყრელი ძმაკაცებიც დაპატიჟა — კაფუ, რივალდო, კაკა, სერჟინიო თავისი „მილანიდან", ადრიანო და ჟუნიორი „პარმადან", ლუსიანო „ინტერიდან" და ჩვენი გმირი რონალდოც და რატომ გმირი, ამაზეც გეტყვით.

მოკლედ, მაგრად მოილხინეს ძმაბიჭებმა, არაფერი დაიკლეს სამბას შვილებმა. ჰოდა, ისე როგორ იქნებოდა, პაპარაცებს და ჟურნალისტებს არ გაეგოთ ღრეობისა თუ ქეიფის ამბავი?

„ტუტოსპორტის" ჟურნალისტები, როგორც იტყობინებიან, შემთვრალ რონალდოს გაესაუბრნენ, რალაცეები ათქმევინეს, ბოლოს კი თურმე გემრიელი ლუკმა შემოინახეს.

იცით, თუ რა ხმაურით გადავიდა ორი წლის წინ „კიჭა" „ინტერიდან" მადრიდის „რეალში". რონიმ მერე, კარგა ხნის შემდეგ თქვა, ჩემი „ინტერიდან" წასვლის უმთავრესი მიზეზი მწვრთნელი ექტორ კუპერი იყოო. ერთი სიტყვით, რონალდოს აშკარად არ მოსდის თვალში კუპერი.

და ახლაც, შანსი მიეცა და გაკენწლა. „ინტერმა" კვირას გამართულ 256-ე მადონინაში სრული კაპიტულაცია გამოუცხადა თანამოსისხლე „მილანს", ულაპარაკოდ წააგო 1:3. რონალდომ ყოველივე ასე განმარტა: „ინტერის" მთავარი პრობლემა მხოლოდ კუპერია. მან უბრალოდ არ იცის, როგორ ათამაშოს გუნდი. დერბი ვიდეოჩანაწერისას ვნახე. „მილანი" ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე, რასაც კუპერმა ვერაფერი დაუპირისპირა".

და სანამ რონალდო ამას იტყოდა, კუპერმა თავად აღიარა, შევცდი, თამაშის წაგება მხოლოდ ჩემი ბრალიოა.

„მილანის" მუშა ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომაც გაკენწლა არგენტინელი მწვრთნელი. თურმე, მატჩის წინა დღეს კუპერს დაუფარავად უთქვამს, „მილანს" სულ ცოტა 2:0 დავამარცხებთო. რინომ კი ნამატჩევს ასეთი რეპლიკა ესროლა: „სინიორ ექტორ, თქვენ ხომ უბრალოდ არ გვიცნობთ".

**გიორგი გაგაძიძე**

# წასვლის დროა...

## რუი კოშტას ბენფიკა და ბარსელონა ეპატიჟება

„მილანის" პორტუგალიელმა გამთამაშებელმა მანუელ რუი კოშტამ ჩავლილი 256-ე მადონინა სათადარიგოთა სკამზე გაატარა, ყველასთვის მოულოდნელად კარლო ანჩელოტიმ შევჩენკო-ინძაგის პასებით მომარაგება 21 წლის ბრაზილიელ კაკას დაავალა და არც უნანია. კაკამ, რომ იტყვიან, ბენეფისი მოიწყო.



ალბათ, პორტუგალიელმა ახალგაზრდა თანაგუნდელის წარმატება გაიზიარა კიდეც, თუმც მეორე დღეს „გაძეტა დელო სპორტს" სენსაციური რამ უთხრა: „როგორც ჩანს, „მილანიდან" აბარგება მალე მომიწევს."

რამ ათქმევინა რუი კოშტას ეს სიტყვები? ნუთუ ადრიანო გალიანის მიერ კაკასადმი მიძღვნილმა ეპითეტებმა, ბრაზილიელი ბრწყინვალე მე-10 ნომერი იქნებაო? ახლა კი გაიხსენეთ, ვის აცვია 10-ნომრიანი მაისურა „მილანში" — მანუელ რუი კოშტას.

ერთი სიტყვით, პორტუგალიელმა პლეიმეიკერმა ჩემოდნების ჩალაგებაზე დაიწყო ფიქრი და არ არის გამორიცხული, დეკემბერშივე ვადამდე, ადრე ანუ კონტრაქტის დასრულებამდე დატოვოს „მილანი".

მისით ორი კლუბია დაინტერესებული — ლისაბონის „ბენფიკა" და კატალონიური „ბარსელონა". ვითარება კი ასეთია.

„ბენფიკაში" წლის ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნებია, ერთ-ერთმა კანდიდატმა გუერა მადალენომ კლუბის ქომაგებს აღუთქვა, თუ ამირჩევთ, რუი კოშტას დაუყოვნებლივ დავაბრუნებ გუნდში, ვინძლო ეს ტრანსფერი დეკემბერშივე განვახორციელოთო.

„ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა კი პორტუგალიელის ნიჭით და გამოცდილებით აღტაცებულია და რუი კოშტას დღემდე ეთაყვანება. ლაპორტა, როგორც ესპანელები წერენ, „მილანის" საქმეთა გამრიგეს, ადრიანო გალიანის უკვე დაუკავშირდა, ეგებ პლეიმეიკერი დაგვითმოთო. გალიანის კატალონიელისთვის პირდაპირ უთქვამს, წუთითაც არ დავფიქრდები, თუ აპენინებზე მცველ კარლეს პუიოლს გამოუშვებთო.

ცხადია, ლაპორტას ეს ვარიანტი არ ესიამოვნა, თუმც იანვარში თუ არა, მომავალ ზაფხულში მილანურ-ბარსელონური როქი შესაძლოა, მართლა მოხდეს — რუი კოშტა „ბარსელონაში", პუიოლი კი „მილანში".

**გიორგი გაგაძიძე**

# ღირსება!
## გაუპატიურებული გოგო ფულზე უარს ამბობს


მაქს კლიფორდი

თუ ლონდონის „გროსვენორ ჰაუს ოტელში" 17 წლის გოგონას გაუპატიურების საქმეს პირველი წერილიდან ეცნობით და მოსდევთ, გეცოდინებათ, რომ დაზარალებულის — კათოლიკური სკოლის მეექვსე კლასელი, რომელიც სწავლისგან თავისუფალ დროს მოდელის ხელობას მისდევს — ჩვენის მიხედვით, იგი სასტუმროში საკუთარი ნებით გაჰყვა ერთ კაცს, ხოლო იქ, ნომერში, შვიდნი შეუცვივდნენ და ძალადობით დაიმორჩილეს. გოგონა ამტკიცებს, რომ მოძალადეთა შორის იყვნენ პრემიერლიგის ფეხბურთელები, რომელთაგან ორი თანაგუნდელია, მესამე კი სხვაგან თამაშობს.

სამშაბათს, დაზარალებული, მამისი და უფროსი და პრესასთან ურთიერთობის ცნობილი სპეციალისტის, მაქს კლიფორდის ლონდონურ ოფისში იყვნენ სტუმრად და, როგორც მოგვიანებით კლიფორდმა „ჩასაფრებულ" ჟურნალისტებს განუცხადა, მასზე ღირსეული შთაბეჭდილება დატოვეს.

„ჩვენ იმ ღამის შესახებ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს, მხოლოდ და მხოლოდ პრესასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვმსჯელობდით. მათ რჩევა სჭირდებათ, რათა გაერკვნენ, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთი გახმაურებული ისტორიის დროს. მინდა გითხრათ, რომ ჩემი ოფისის კარი უამრავ ქალს შემოუღია და მათ თავიანთი ამბის მასმედიისთვის მომგებიანად მიყიდვა უთხოვიათ, ამ ოჯახმა კი პირიქით, ამბის გაყიდვაზე უარი განაცხადა და სიტუაციიდან ღირსეული გამოსვლის მოძებნა ითხოვა" — ბრძანა ასეთ საქმეებში ჭიპმოჭრილმა სპეციალისტმა.

აქვე გვინდა მოგახსენოთ ან შეგახსენოთ, რომ ბოლო დღეებში გამოჩნდა მავანი ნიკოლას მეიკლი, 29 წლის ზეიმთა მოწყობის სპეციალისტი, რომელმაც განაცხადა, ის კაცი, რომელსაც გოგონა სასტუმროს ნომერში თავისი ნებით გაჰყვა, მე ვარ და პოლიციაშიც ჩემი ფეხით მინდა მივიდე და ყველაფერი მოვყვეო.

რა ბედი ეწია ამ ადამიანს პოლიციაში, ჩვენთვის უცნობია, იმას კი შეგახსენებთ, რომ მისი მონაყოლი დაზარალებულის მონაყოლისგან განსხვავდება. კერძოდ, იგი ამბობს, რომ ისტორიაში გარეულია არა რვა, არამედ ოთხი კაცი და ყველაფერი მოხდა არა ძალით, არამედ ნებით. დაზარალებული მეიკლის მონაყოლს ტყუილს უწოდებს.

**პაპუნა ძიძია**

# გავცვალოთ?
## გახსოვდეს ლუსიო



**გასულ** ზაფხულს რომან აბრამოვიჩის მილიონები სატრანსფერო ბაზარს რომ შეესია, „ჩელსის" ახალ პატრონს ყველაფერთან ერთად ლევერკუზენის „ბაიერის" ბრაზილიელი მცველი, ლუსიოც მოუნდა.

გერმანულმა კლუბმა ფეხბურთელის გაყიდვა მაშინ იუარა. „ჩელსიმ" სხვა მცველები იყიდა და გადაწყვიტა, მათი ძალისხმევით გასულიყო ფონს. „ბეშიქთაშთან" მარცხის შემდეგ ლონდონელებმა მობერებული მარსელ დესაის შემცვლელის ძებნა განაახლეს და ლუსიო გაიხსენეს.

ინგლისური და გერმანული კლუბების აგენტები ერთმანეთს კვლავ შეხვდნენ. მათ ისევ ლუსიოს თემა გაარჩიეს. ამჯერად ახალი ვარიანტი დაამუშავეს. „ჩელსის" ბრაზილიელის წაყვანა სურს, მაგრამ სანაცვლოდ „ბაიერს" გერმანული წარმოშობის ფინელ ფორვარდ მიკაელ ფორსელს სთავაზობს.

ფორსელი „არისტოკრატთა" საკუთრებაა. მან შარშანდელი სეზონი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" გაატარა და გუნდს თავისი გოლებით ბუნდესლიგაში დარჩენაში დიდად დაეხმარა.

„ბორუსიაში" საიჯარო ვადის დასრულების შემდეგ ფინელი ლონდონში დაბრუნდა, მაგრამ უმაღლესი კლასის ფორვარდებით დახუნძლულ „ჩელსში" მისი ადგილი არ აღმოჩნდა და იგი „ბირმინგემში" გაანათხოვრეს. ლონდონლევერკუზენის გარიგება თუ შედგა, ფეხბურთელები ადგილს ახალი წლიდან გაცვლიან. „ჩელსის" კოსმოპოლიტურ გუნდს ერთი ბრაზილიელიღა აკლია და „არისტოკრატებს" იანვრიდან ალბათ ისიც შეუერთდება.

**ვაჟა ხუციშვილი**





# ორი ლიდსელი გალიაში
## ამჯერად ოცი წლის გოგო



| 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - პარტსი | | 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - პარტსი | |
| 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | | 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | |
| 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | | 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | |
| 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | | 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | |

II ეტაპი, IV ტური — II ეტაპი, IV ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 15.10 | პაპოელი თ-ა - გაზიანთეფი | | 20.00 | 15.10 | პაპოელი თ-ა - გაზიანთეფი | |
| 20.30 | 15.10 | პაიდუკი - გრასჰოპერსი | | 20.30 | 15.10 | პაიდუკი - გრასჰოპერსი | |
| 21.00 | 15.10 | შახტარი - დინამო რუმ. | | 21.00 | 15.10 | შახტარი - დინამო რუმ. | |
| 23.05 | 15.10 | კოპენჰაგენი - ფერენცვაროში | | 23.05 | 15.10 | კოპენჰაგენი - ფერენცვაროში | |
| 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - პარტსი | | 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - პარტსი | |
| 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | | 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | |
| 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | | 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | |
| 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | | 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 15 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში", მის ფილიალში და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 15 ოქტომბერს)

**ყურადღება! სათასო შეხვედრებში მხედველობაში მიიღება მხოლოდ ძირითადი დროის ანგარიში**

**საკონკურსო ბიულეტენებში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი**

## მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ

ადგ. გვარი, სახელი, მამის სახელი ქულა
1 ------ კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე ----- 253(15-39-15-36-36-25-28-39-39-36)
2 ------ ვეშაპიძე გია შოთას ძე ----- 250(28-31-36-29-36-26-38-36-31-42)
3 ------ გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე ----- 244(20-33-36-23-33-23-36-28-44-34)
4 ------ ციცვიძე იური ვლადიმერის ძე ----- 241(15-20-42-31-36-20-36-31-34-31)
5-6 ----- გორელაშვილი დავით გურამის ძე ----- 240(31-36-23-15-33-23-34-26-36-44)
5-6 ----- ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე ----- 240(23-35-0-0-31-20-36-29-47-39)
7-8 ----- ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე ----- 238(23-29-36-23-35-33-31-29-43-31)
7-8 ----- ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე ----- 238(28-39-34-31-36-20-38-29-31-28)
9 ------ ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე ----- 235(23-23-49-26-33-18-31-23-30-43)
10 ------ წიკლაური მაია ინგურის ას ----- 232(23-23-20-37-33-23-34-33-39-33)
11 ------ მუმლაძე აკაკი დომენტის ძე ----- 230(23-30-36-26-34-29-31-26-31-39)
12 ------ ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე ----- 229(28-41-23-26-36-23-44-26-25-28)
13-14 --- ბეგიაშვილი ანა მიხეილის ას ----- 228(28-18-18-34-37-25-34-28-36-31)
13-14 --- ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე ----- 228(31-28-38-29-36-26-28-28-30-36)
15 ------ კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე ----- 226(26-28-33-34-31-23-31-23-33-36)
16 ------ არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე ----- 225(33-23-0-0-33-23-36-31-33-36)
17 ------ ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე ----- 224(18-36-36-31-33-20-31-29-28-23)
18 ------ გომარელი გიორგი მურმანის ძე ----- 222(15-23-31-42-30-15-34-28-31-26)
19 ------ კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე ----- 221(25-21-36-26-23-20-39-34-28-33)
20-21 --- მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე ----- 220(23-33-41-28-30-25-42-26-23-38)
20-21 --- მელიწკაური ლევან ვალერიანის ძე ----- 220(23-26-30-28-30-25-42-26-23-38)
22 ------ ფაცია გიორგი მურმანის ძე ----- 219(23-25-36-18-39-13-28-37-28-26)
23 ------ ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე ----- 217(25-26-28-31-34-20-20-13-39-34)
24 ------ მორჩიაშვილი პალიკო სევერიანეს ძე ----- 216(20-39-28-31-36-21-26-26-28-28)
25-27 --- გრიგორაშვილი თამაზ დავითის ძე ----- 215(30-15-15-31-33-36-28-23-26-31)
25-27 --- ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე ----- 215(18-20-28-31-28-34-28-29-31-34)
25-27 --- სულაშვილი ვაჟა თედოს ძე ----- 215(18-28-23-28-33-15-33-31-39-15)

**შედეგების გაპროტესტება შეიძლება 16 ოქტომბრამდე 11-დან 15 საათამდე კვირა-ორშაბათის გარდა გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში, აგლაძის 39ა, მე-3 სართული**

# RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

## საქართველო

დედაქალაქი
თბილისი
5,9 მილიონი მაცხოვრებელი
1 000 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — არ მონაწილეობდა
1991 არ მონაწილეობდა
1995 — არ მონაწილეობდა
1999 — არ მონაწილეობდა

**C ჯგუფი**

ინგლისი
ს. აფრიკა
სამოა
ურუგვაი
საქართველო

# დევები საქმიანი ქაოსის ქვეყნიდან



2001 წლის 7 აპრილი — ბორჯღალოსნები ბუქარესტში ისტორიულ გამარჯვებას ზეიმობენ

თავიდანვე შევთანხმდეთ — ბორჯღალოსნებს არ შევაქებთ მხოლოდ ქართველობის გამო. ქართველებს ისედაც არ გვაკლია ჩვენი თავის ქება, დალოცვა, ცაში აყვანა და ასე შემდეგ.

ბორჯღალოსნები, მოგეხსენებათ, ავსტრალიაში არიან და მსოფლიოს თასისთვის მზადებას ამთავრებენ. ეს მსოფლიოს თასი, რიგით მეხუთე, ქართველებისთვის პირველი იქნება — ჩვენებურებისთვის ავსტრალიაში თასის ერთადერთი დებიუტანტები არიან.

ბორჯღალოსნებმა მეორე ცდაზე გაიარეს შესარჩევი ბარიერი, რომელის გადამწყვეტ მატჩში ხუთი წლის წინ დუბლინში რუმინეთთან ავადსამახსოვარ თამაშში 24:27 დამარცხდნენ.

მას შემდეგ არაერთმა ერთა თასმა ჩაიარა, ბევრი წავიდა ნაკრებიდან, ბევრი ახალი მივიდა და ბევრი რამაც შეიცვალა. ნაკრები ფრანგმა კლოდ სორელმა ჩაიბარა, რომელმაც საქართველოში მუშაობა კონსულტანტად დაიწყო.

სწორედ ძია კლოდია ბორჯღალოსანთა ბოლო ხმაურიანი გამარჯვებების ხორცისშემსხმელი. მის ხელში „შინდისფრებმა" ერთხელ შეძლეს რუმინეთის ძლევა და რამდენჯერმე რუსეთის. მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპში ბოლო მეტოქედ სწორედ რუსეთი გვერგო.



რუსთა დამარცხება ქართველ მორაგბეებს საკუთარი სიამაყის გამოვლავნების საბაბად ექცათ, ცხადია, კარგი გაგებით. არცთუ გადაჭარბებებით ნათქვამია — რუსებმა ჩვენს ხელში ვერ გაიხარეს.

რუსთა დამარცხებას სრულიად ქართველობა ერის გამარჯვებად აღვიქვამთ და ეს არც არავის უკვირს, თუმცა საპირისპირო მხრიდან რომ შევხედოთ ჩვენი და რუსი მორაგბეების ურთიერთშეხლებს, დიდი რუსეთი ყურსაც არ იბერტყავს სარაგბო წაგებებზე, რამეთუ კავკასიონს იქითა ქვეყანაში რაგბი სპორტის მეოცე სახეობაა, ჩვენში კი ლამის მეორე.

ქართულმა რაგბიმ შეასრულა პროგრამა-მინიმუმი — გავიდა მსოფლიოს თასზე. რაც შეეხება პროგრამა-მაქსიმუმს და გრძელვადიან გეგმას, ეს ჯერ არ ჩამოუყალიბებიათ ქართული რაგბის გამგებლებს. არადა, მაგალითად თუნდაც რუმინეთის მოტანა შეიძლება, რომელსაც საქარველოზე ბევრად დალაგებული ქვეყნის რეპუტაცია არა აქვს და სხვათა შორის, მსოფლიოს ყველა თასზე მონაწილეობდა.

ბოლო ჩამოსვლაზე რუმინეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ოქტავიო მორარიუმ დაუზარებლად გადმოგვილაგა რუმინული რაგბის განვითარების გეგმა, რომელსაც ვლახები ალბათ ბეჯითად ასრულებენ და რომლის მსგავსიც საერთოდ არ არსებობს საქართველოში. რუმინელებს პირველ რიგში შიდა ჩემპიონატის დონის წამოწევა და რაგბისთვის მყარი საფუძვლის შექმნა განუზრახავთ და არა სანახევროდ ჩამოყალიბებული მორაგბეების უცხოეთში, ვთქვათ საფრანგეთში გარეკვა. ერთი სიტყვით მორარიუ, როგორც ყველა წინდახედული კაცი ჯერ ზურგის გამაგრებას ცდილობს. ლაპარაკიც არ უნდა, გამართული ინფრასტრუქტურით რუმინელები გაცილებით თამამად შეძლებენ ნაკლები სარაგბო ტრადიციების მქონე იტალიელებთან ჭიდაობას და მათ დამარცხებას და თუ რომაელთა ძლევამ სისტემატური ხასიათი მიიღო, ვინ იცის, წლების შემდეგ რუმინეთი იქნებ ჩაენაცვლოს იტალიას ექვსი ერის ზეპრესტიჟულ გაერთიანებაში.

იმავე ჩამოსვლაზე რუმინელებმა მათსა და ქართველებს შორის დათქმული ანთიმოზ ივერიელის თასი ერთობ უდიერად ჩამოიტანეს. მათი დამოკიდებულებიდანაც ჩანდა, რომ მთელი მათი ყურადღება ერთ კონკრეტულ, თუნდაც საკმაოდ ძლიერ მეტოქეზე არ ჩერდება. ისინი საქართველოს ხვდებიან (და უგებენ კიდეც) და ამავე დროს უფრო შორს კი იხედებიან.

რაც შეეხებათ ქართველ მოხელეებს, მათი უმთავრესი საზრუნავი საარსებო თანხების ძიებაა, იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო მოხელეთა ოჯახები ვერ გრძნობენ სახელმწიფო სამსახურებში გამეფებულ უსახსრობას. გრძელვადიან სტრატეგიას რომ თავი დავანებოთ, რაგბის კავშირი ძლივს ერევა ეროვნულ ჩემპიონატს.

შედარებით მეტი წესრიგია საქარველოს მორაგბეთა ნაკრებში, რომელიც ყბადაღებული უფულობის გამო ლამის ავსტრალიაში ვერ გაემგზავრა. ბორჯღალოსანთა ფრანგმა თავკაცმა კლოდ სორელმა გადახედა ქართული მორაგბეთა არცთუ ფართო შესაძლებლობებს და ჯანიანი ბიჭებისგან შექმნა საშუალო ნაკრები. ბორჯღალოსნები საკმაოდ მარტივი სქემით თამაშობენ, მძლავრი მორკინალებს ხარჯზე (უკანა ხაზში ერთი-ორი ისეთი დგას, სხვა ჩვენი დონის გუნდს შერკინებაში რომ აკლია) მეტოქის ფიზიკურად გადაძალვას ესწრაფვიან, რაკი ხელდახელ ბურთით კომბინაციების ხაზვა ჩვენმა ხაზმა ჯერ ბოლომდე ვერ დახვეწა.

ამ ჯაჯგურ-ჯაჯგურში ბორჯღალოსნებმა თითქმის დაამარცხეს სოლიდური იტალია და ავსტრალიაშიც იმედიანად ჩავიდნენ. იქ სორელის გუნდის მთავარი მიზანი ურუგვაელთა ძლევა და სამ სხვა ბობოლასთან ინგლისთან, სამხრეთ აფრიკასთან და სამოასთან არგანადგურებაა. სხვთა შორის ჩვენ ჯგუფში კალიბრით მესამე გუნდი სამოა, ჩვენი არ იყოს, დევებითაა დაკომპლექტებული, მსოფლიოს თასის ყველაზე მძიმე გუნდია და ჩვენი შერკინებისთვის მათთან ჯახი უსერიოზულესი გამოცდაც იქნება.

**ბორჯღალოსნები მსოფლიოს თასზე**

ავთო კოპალიანი „ტუა"
აქვსენტი გიორგაძე „დიდი გლობუსა"
გოდერძი შველიძე „ობელიქსა"
სოსო ნიკოლაენკო „მუტანტა"
ალეკო მარგველაშვილი „ქვიტირა"
დავით დადუნაშვილი „დადუნა"
ვანო ნადირაძე „ვანო"
ვიქტორ დიდებულიძე „ვიქტორა"
ზურაბ მჭედლიშვილი „პანკრაშკინა"
გიორგი წიკლაური „წიკო"
გიორგი ჩხაიძე „ბინგო"
ილია ზედგინიძე „ილო"
გრეგუარ იაშვილი „გრეგ"
დავით ბოლღაშვილი „ბოლღა"
გია ლაბაძე „ლაბო"
სერგო გუჯარაიძე „ნაჯახა"
ირაკლი აბუსერიძე „აბუ"
ირაკლი მოდებაძე „პატარა ბურძგლა"
პალიკო ჯიმშელაძე „პაკისტანა"
მერაბ კვირიკაშვილი „მეკო"
ირაკლი გიორგაძე „პატარა გლობუსა"
თედო ზიბზიბაძე „ზიბზიბა"
ვასილ კაცაძე „ლომუ"
მალხაზ ურჯუკაშვილი „მახო"
არჩილ ქავთარაშვილი „სტეჩკინა"
ბადრი ხეხელაშვილი „ხეხელა"
ბესიკ ხამაშურიძე „ანტილოპა"
გოჩა ხონელიძე „ქელასა"
ირაკლი მაჩხანელი „მანჩხო"

მაზეგ საქართველოს ნაკრები თავის სამსოფლიოსთასო სადებიუტო მატჩს გამართავს ტურნირის უპირველეს ფავორიტ ინგლისთან. ჩვენებისგან ამ მატჩში გამარჯვებას არავინ ელის და, მით უმეტეს, არც არავინ ითხოვს. საკითხავი ისაა, გაუძლებენ თუ არა ქართველები ზღაპრულ ფორმაში მყოფ ინგლისელთა შეტევების ნახევარს მაინც. რამდენ ლელოს გაგვიტანს ინგლისი, ამას ახლა ვერც ვივარაუდებთ. ისე „ვარდების" მთავარმექულე ჯონი უილკინსონი ჩვენთან შეხვედრაში, რაც შეიძლება, ბევრი ქულის დაგროვებას აპირებს. ეს მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, მაგრამ არა კადნიერად, არამედ მეტოქის პატივისცემით და ქართველთა ზომიერი შექებით



# საქართველო მსხალი არაა
## უილკინსონი ქართველებს პატივისცემით ელის

**— ქართველებთან მატჩს ალბათ სამხრეთ აფრიკასთან ჯახის წინ მოსამზადებელ სპარინგად განიხილავთ...**

— საერთოდ, ყველა მატჩი მომავალი შეხვედრისთვის მოსამზადებელი ეტაპია. მთავარია, საჭირო დასკვნები გამოიტანო და შეცდომა მომავალში აღარ გაიმეორო. გააჩნია, ამ კითხვაში თქვენ რას გულისხმობთ...

**— იმას, რომ ქართველებთან კარგად წაივარჯიშებთ...**

— მე ასე არ ვფიქრობ. საქართველო არაა ის გუნდი, „მსხლად" გამოიყენო. ქართველები პირადად ჩემში დიდ პატივისცემას იწვევენ და მგონი, მარტო მე არ ვფიქრობ ასე. ის მეტოქე კი, რომელსაც პატივს სცემ, აბუჩად არ უნდა აიგდო და კაცურად უნდა ეთამაშო.

**— თქვენმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა ამიტომ დააყენა ძირითადი შემადგენლობა?**

— ამით ქართველებისადმი ჩვენი სიმპათიები გამოვხატეთ.

**— და მაინც... ნახევარი ძალით მოიგებთ?**

— შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი მეტოქე სუსტია. უბრალოდ, ჩვენ ვართ ძალიან ძლიერები. ქართველების ერთი მატჩი ვნახეთ, იტალიასთან. ჩემი აზრით, ქართველებს უნდა მოეგოთ. მე ვერ გავიგე, რატომ დანებდნენ ბოლოსკენ. შესაძლოა, ამის მიზეზი ჰქონდათ.

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ბოლოსკენ უფრო ნერვების თამაში წავიდა, ვიდრე რაგბის. ეგებ ქართველები ფსიქოლოგიურად არ არიან მზად ბოლომდე ბრძოლისთვის. საერთოდ მსოფლიოს თასზე ბევრ გუნდს უთამაშია წარუმატებლად, ალბათ ქართველებიც ასე ჩაამთავრებენ ტურნირს, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით მათ ძალიან საინტერესო ნაკრები ჰყავთ.

**— თქვენ მსოფლიოს თასის ბომბარდირობის კანდიდატი ხართ...**

— ცხადია, ეს ძალიან მახარებს, მაგრამ იმავდროულად, დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ისე კი, შევეცდები, ტურნირზე დასაგროვებელ ქულათა უმეტესობა სწორედ ქართველებთან მოვიპოვო.

კორნე კრიხე

# უფრთხილდით მარტინ ჯონსონს!
## აფრიკელთა კაპიტანმა ინგლისელი კოლეგა სიბინძურეში ამხილა

*საქართველოს ნაკრების ვეშაპმეტოქის, სამხრეთ აფრიკის კაპიტანი კორნე კრიხე ავსტრალიაში ჩასვლისთანავე ჟურნალისტთა ალყაში მოექცა. კრიხეს ეს „პატივი" ერთი ინტერვიუს გამო ერგო, სადაც იგი ამბობს, რომ ინგლისის ბებერი ყოჩი მარტინ ჯონსონი ყველაზე „ბინძური" კაპიტანია. პერთში მოწყობილ პრესკონფერენციაზე კრიხემ დაადასტურა, რომ ჯონსონი მას თვალში არ მოსდის, თუ რატომ, ეს მან ამ მცირე ინტერვიუში ახსნა*



**— მართლა თქვით, რომ ჯონსონი ყველაზე „ბინძური" კაპიტანია?**

— დიახ, მაგრამ ეს საგაზეთოდ არ მითქვამს. მეგონა იმ ჟურნალისტს დიქტოფონი გამორთული ჰქონდა. ნაღდად ვერ ვიფიქრებდი, რომ მეორე დღეს პრესის ფურცლები აჭრელდებოდა ჩემი ნათქვამით. შოკირებული ვიყავი, ის ჟურნალისტი იმ წუთში რომ მენახა, გავგლეჯდი. რა თქმა უნდა, ჩემი ბრალიც არის. ასეთი განცხადება არ უნდა გამეკეთებინა.

**— და რატომ არ გეპიტნავებათ ჯონსონი?**

— პირადული აქ არაფერ შუაშია. ჯონსონი „ბინძური" მოთამაშეა. ხან საიდან ჩაგარტყამს მზაკვრულად, ხან საიდან. ასეთებში ისეთი ოსტატია, მსაჯიც კი ვერ ამჩნევს. კაპიტანმა ასეთი რამ არ უნდა იკადროს.

**— თქვენ არასდროს ჩაგირტყამთ მეტოქისთვის მალულად?**

— როგორ არა, მაგრამ ეს წმინდა სათამაშო მომენტიდან გამომდინარე მომხდარა. ჯონსონი კი მუშტს განზრახ იქნევს, უნდა, რომ წამოგიკიდოს.

**— არ გიფიქრიათ, რომ თქვენი ნათქვამით ჯონსონს შეურაცხყოფა მიაყენეთ?**

— არა, რატომ? ჰოკეიში საგანგებოდ ჰყავთ მოჩხუბარი ბიჭები, რომლებიც საჭირო მომენტში მწვრთნელის დავალებით მუშტებს იქნევენ. ეს ტაქტიკის ნაწილია.

**— ახლა არ მითხრათ, აფრიკელი კაცი ჰოკეის ფანი ვარო...**

— არა, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებს ხომ ვკითხულობ და მეტნაკლებ წარმოდგენას სპორტის თითქმის ყველა სახეობაზე ვფლობ.

**— თქვენი განცხადებით ინგლისთან მატჩის წინ სიტუაცია განგებ ხომ არ დაძაბეთ?**

— ასეთი რამ გულშიც არ გამივლია. დარწმუნებული ვარ, ჯონსონი ამას მიიღებს, როგორც მეგობრულ და კოლეგიალურ შენიშვნას და მატჩის შემდეგ ბანკეტზე ერთმანეთს ჭიქას კაცურად მივუჭახუნებთ.

**— დარწმუნებული ხართ?**

— ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი გაქვს.



# სამხედროები პოლიციას საქმეს ასწავლიან

**ავსტრალიური** პოლიცია მსოფლიოს თასზე უსაფრთხოების მაქსიმალურ ზომებს მიიღებს. ადგილობრივ სამართალდამცავთა უპირველესი საზრუნავი 11 სარაგბო მოედანზე გასამართ 48 მატჩზე სიმშვიდის დაცვა იქნება (თავისთავად ცხადია, პოლიციას არც ქუჩებში ჩაეძინება). საჭიროების შემთხვევაში პოლიციას ავსტრალიური ჯარის ელიტარული სამხედრო ნაწილები მიეშველებიან.

ავსტრალიის თავდაცვის მინისტრ რობერტ ჰილის განცხადებით, „ოპერაცია შერკინებად" მონათლული სამხედრო ჩარევა ჯერ კიდევ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის დროს იყო შემუშავებული. მსოფლიოს თასზე ელიტარული სამხედრო შენაერთების მთავარი მიზანი შესაძლო არეულობების დროს სწრაფი რეაგირება და დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დაკავება იქნება. მინისტრის თქმით, პოლიციაზე უკეთ შეიარაღებული და გაწვრთნილი სამხედროები, რომელთაც ტერორისტული აქტების ალსაკვეთი საგანგებო მომზადება აქვთ გავლილი, საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცავებს გვერდში დაუდგებიან.

# დაიჟივლებს მამალი?
## ფრანგს ფრანგისა არ სჯერა

**მსოფლიოში** უმეტესი კეპის მომხვეჭ, საფრანგეთის ნაკრების ყოფილ 13 ნომერ ფილიპ სელას — მას ნაკრებში 111-ჯერ უთამაშია და „მამლებს" სამ მსოფლიოს თასზე გაჰყოლია — ავსტრალიაში თავისიანების იმედი არა აქვს. ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარში სელამ 2003 წლის მსოფლიოს თასზე უპირველეს ფავორიტებად ახალზელანდიელები შერაცხა.

„ზელანდიელები ძლიერ და სწრაფ რაგბის თამაშობენ. მე ძალიან მომწონს მათი სტილი" — თქვა სელამ. ლეგენდარული ფრანგის პროგნოზით, ფინალში ახალზელანდიელები და ინგლისელები შეხვდებიან. რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, სელას აზრით, „მამლები" დღესდღეობით საუკეთესო ფორმაში არ არიან. „ავსტრალიაში წასვლამდე ფრანგები კარგად რომ მომზადებულიყვნენ, ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო. მე მაინც მგონია, რომ ფრანგები და სამხრეთაფრიკელები მესამე-მეოთხე ადგილებს გაიყოფენ."



ფილიპ სელა ახალ თაობას ეჭვით უყურებს

# მუხრანისთვის მუხლს რომ არ ემუხთლა...

## ბეგი დარჩიას სინანული დარჩა

*მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ჯერ კიდევ წლების წინ დაისახა მიზნად, მაგრამ ასრულება გასულ კვირამდე ვერ მოუხერხა. მუდმივად სამეულში მოტრიალე მისმა გუნდმა პირველობა იმ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვა, რომელიც ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშების გამო წარმომადგენლობითაც და დაძაბულობითაც გამორჩეული იყო. შთამბეჭდავი შედეგით კმაყოფილი დარჩიასთვის საფრანგეთში დასრულებულ ტურნირს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც დაუტოვებია და ამა თუ იმ მიზეზის გამო დაკარგულ მედლებზე კვლავაც ფიქრობს. თუმც მომავალს იმედით უყურებს და ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთეს გამოსვლას გვპირდება. ჩვენ კი პლანეტის უძლიერესი გუნდის მწვრთნელთან ინტერვიუს და მსოფლიოს პირველობის მისეულ შეფასებას გთავაზობთ*



**— ელოდით გუნდურ ჩემპიონობას?**

— ამისთვის ბიჭები თავიდანვე შემზადებული მყავდა. ჯერ კიდევ საფრანგეთში წასვლამდე ვუთხარი მათ, რომ სერიოზული შანსი გვქონდა. წლების მანძილზე ევროპაში სამეულს მიღმა არ დავრჩენილვართ, შარშანდელ მსოფლიოზეც მხოლოდ რუსეთმა გვაჯობა. წლეულს კი მშვენიერი რევანში ავიღეთ და მათ 4 ქულით გავუსწარით, რაც დიდი უპირატესობაა.

**— სხვა ქვეყნის სახელით მოასპარეზე ქართველთა გამოსვლაზე რაღას იტყვით?**

— მათი ჭიდაობა მთელმა მსოფლიომ ნახა და შედეგებიც ყველამ კარგად იცის. საჩემპიონოდ 29 ქულა გვეყო და მეორე ადგილზე გასულ უკრაინას სამით გავუსწარით. ლეგიონერ ქართველთა გამოსვლას თუ შევაჯამებთ, 28 ქულა გამოდის. ამით ბევრი რამაა ნათქვამი.

**— თითოეული წონის თქვენეული შეფასება... პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონზე გკითხავთ.**

— მანუჩარ კვირკველია უდიდესი პოტენციალის მქონე სპორტსმენია. მას საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება არა აქვს, მაგრამ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას თითქმის ყოველთვის ახერხებს. კრეტეიში იგი „სიკვდილის“ ჯგუფში მოხვდა, მაგრამ ეს ბარიერი საკმაოდ იოლად გადალახა. შემდეგ ერთიმეორეს მიყოლებით დაამარცხა ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები. ფინალის გარდა განსაკუთრებით მეოთხედფინალურ შეხვედრას ვარჩევ მსოფლიოსა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონ თურქ სერეფ ეროღლუსთან, რომელთანაც აქამდე უარყოფითი ბალანსი ჰქონდა. ამჯერად კი ისეთი გდებით მოიგო, გულშემატკივართა მქუხარე ოვაციები დაიმსახურა.

**— ფინალში მისი პასიურობის მიზეზი რადა იყო?**

— კვირკველია, რამდენადაც ძლიერია, იმდენად რთული და თავისებური ხდება ხოლმე შეჯიბრების დროს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი დიდი ნიჭია და ასეთებთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. ამიტომაც იყო, ზედმეტად მონდომებული რომ ვამხნევებდი. თან ნათესავებიც ვართ და ჩემს თავს ამდენის უფლებაც ამიტომ მივეცი.

**— გამარჯვების შემდეგ თქვენს მიერ გაკეთებული ილეთის ხილვა ერთ რამედ ღირდა...**

— ეს უდიდესი სიხარული იყო... ნეტავი, ასეთი გდებები თავის დროზე გამეკეთებინა.

**— ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ რამაზ ნოზაძის ბრინჯაოს როგორ შეაფასებდით? ეს ამ ეტაპზე მისი მაქსიმუმი იყო?**

— ნოზაძეს ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი გადასცეს. მისი ასაკის სპორტსმენისთვის მესამე ადგილიც კარგი შედეგია, მაგრამ უკეთ გამოსვლა ნამდვილად შეეძლო. მასში ჩემპიონის სულს ვხედავ, რამაზი ოქროს აუცილებლად აიღებს. იმედია, ეს ნატვრა მომავალ წელს ოლიმპიადაზე აგვიხდება.

**— ეგვიპტელთან ნახევარფინალში მის პირწმინდად დამარცხებას რას აბრალებთ?**

— პირველ რიგში ტაქტიკური დავალების შეუსრულებლობას. ეგვიპტელი ძალიან ტექნიკური მოჭიდავეა და ამასთან საკმაოდ გამოცდილიც. აქედან გამომდინარე, ნოზაძეს დავავალეთ, საწყისი ორი წუთი მეტოქის ხელებზე და შებოჭვაზე ემუშავა. მის ფსიქიკას კარგად ვიცნობ. გადაწყვიტა, მეტოქე თავიდანვე ყველა ასპექტში დაეჩაგრა, რისთვისაც დაისაჯა.

**— დანარჩენ ორ ლიცენზიოსანზე რას იტყვით, შეეძლოთ ვახტანგაძესა და ჩაჩუას მედლებამდე მისვლა?**

— მუხრანს ჩვეულად ჭიდაობაში მუხლის ტრავმამ შეუშალა ხელი, რომელმაც ბოლო შეკრებებზე ინტენსიური მომზადების საშუალება არ მისცა. სასიხარულოა, რომ მან ოლიმპიური ლიცენზიის აღება მაინც შეძლო. დარწმუნებული ვარ, რომ არა ტრავმა, მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა. იგი დღეს თავისი წონის ერთ-ერთი ლიდერია.

აკაკი ჩაჩუას ჭიდაობა კი დიდი ხანია, ასე არ მომწონებია. სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ ასეთ ფორმაში არ ყოფილა. იგი ჩემპიონატს ძალიან სერიოზულად მოეკიდა მსგავსი შემართებით, ათენში აუცილებლად ოქროსთვის იბრძოლებს. მძიმე ქვეჯგუფი შეხვდა და ორი კარგი შეხვედრაც მოიგო. მეოთხედფინალში ორგზის ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონსაც მშვენივრად ეჭიდავა და 5:6 დამარცხდა, თუმც ეს გარკვეულწილად მსაჯების დამსახურებაცაა.

**— მაშასადამე მსაჯობაზე გარკვეული პრეტენზიები გაქვთ?**

— გასულ ჩემპიონატზე იშვიათი გამონაკლისის გარდა ტენდენციურობა არ ყოფილა, რაც ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ გოჩა ძასოხოვის დამსახურებაა. მას FILA-ში საკმაოდ კარგი სახელი აქვს. მაგრამ არის ხოლმე მომენტები, როცა მაინც გიწევს პოზიციების დათმობა. ბულგარეთის ნაკრებს არც ერთი მედალი არ მოეგო და მათი წარმომადგენელი ჩაჩუასთან რომ დამარცხებულიყო, უმანსოდ რჩებოდნენ. ალბათ მსაჯებმაც ეს გაითვალისწინეს.



რამაზ ნოზაძე მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ დაასახელეს

**— დარჩა სამი წონა, რომელშიც ლიცენზიის აღება ვერ მოვახერხეთ...**

— ირაკლი ჭოჭუას აშკარად არ გაუმართლა. მას ჯგუფში ორი მსოფლიოს ჩემპიონი შეხვდა. მიუხედავად წარუმატებლობისა, მან მაინც დამაკმაყოფილებლად იჭიდავა. იყო რაღაც შეცდომებიც, რომლის გამოსასწორებლად ყველაფერს ვიღონებთ. ვახტანგაძის მსგავსად, ტრავმის გამო არასათანადო მომზადებას დავაბრალებ შარშანდელ ვერცხლის პრიზიორ ბადრი ხასაიას წარუმატებელ გამოსვლასაც. იგი შეკრებაზე მაქსიმალურად ვერ დაიტვირთა და მართალია, ჩემპიონატი კარგად დაიწყო, მერე მეოთხედფინალს ველარ გასცდა. ყველაზე მეტი სამუშაო კი მძიმე წონაში გვექნება. გიორგაძემ ამ ეტაპზე ჩვენი იმედები ვერ გაამართლა.

**— თქვენი აზრით, ათენში წარმომადგენელი ამ სამ წონაში მაინც გვეყოლება?**

— ვფიქრობ, ასე იქნება. ჩემს მიერ ნახსენები სამივე სპორტსმენი პროფესიონალია და დარჩენილ სალიცენზიო ტურნირებში თავიანთ ძალას აუცილებლად დაამტკიცებენ. ბევრი ძლიერი მოჭიდავე დარჩა ულიცენზიოდ 55 კილოგრამში, რაც ირაკლი ჭოჭუასთვის ნამდვილად ვერაა კარგი საქმე, მაგრამ მას კონკურენტთა სიმრავლე ვერ შეაშინებს და ათენის საგზურსაც გაინაღდებს.

**— ხომ არა უნდა ველოდოთ სალიცენზიო ტურნირებში სხვა მოჭიდავეების გამოცდაც?**

— ამის აუცილებლობას ჯერ ვერ ვხედავ, თუმც გამორიცხული არაფერია. 25-26 ოქტომბერს ალმა ატაში მსოფლიოს თასზე მივდივართ და ძირითადი გუნდის გარდა ალბათ ორ მოჭიდავეს დავიმატებთ.

**— ლიცენზიების ამღებ მოჭიდავეებს ოლიმპიადაზე წასვლაში ვერავინ შეეცილებათ?**

— საქართველოს ნაკრების შემადგენლობის ძირითადი სახე უკვე ჩამოყალიბებულია. ეს ბიჭები ლიდერები არიან და კონკურენტებს აშკარად სჯობიან, ღმერთმა ქნას, ვინმე კიდევ გამოჩნდეს.

**— თუ არის ისეთი რამ, რაზეც გული მაინც გწყდებათ?**

— ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი ვახტანგაძის ტრავმა იყო. რომ არა გუნდის ექიმ ზურაბ კახაბრიშვილის მუშაობა, ალბათ მთელი ტურნირი არც გავილიმებდი. საწყენია ასევე რამდენიმე მედლის დაკარგვაც და ისიც, რომ მძიმე წონაში გიორგი წურწუმია ყაზახეთის ნაკრების ღირსებას იცავდა. მისი სახით ქართულ ჭიდაობას დიდი ძალა დააკლდა. თავის დროზე წურწუმიას საქართველოდან წასვლას სერიოზულად შევეწინააღმდეგეთ, მაგრამ თანხმობა მას შემდეგ მივეცით, რაც დაიმუქრა, სპორტს თავს დავანებებო. ეს მისი სიჯიუტე იყო, რომელიც დღემდე ვერ ამიხსნია.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ეს-ესაა ბეგი დარჩიას ოცნება აუხდა: მისი შეგირდი მანუჩარ კვირკველია მსოფლიოს ჩემპიონია

# დენვერში ცქიტიშვილის პატარა ძეგლი გააკეთეს

## ნიკას ქართველი ან სერბი ცოლი უნდა

*ვერ დავიჩემებთ, ნიკა ცქიტიშვილისთვის მომავალი სეზონი უწინდელზე შედეგიანი იქნებაო, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მან ზაფხულის აქეთ შესამჩნევად მოუმატა. „ნაგიტსის" მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა ცქიტიშვილს ახლახან დაკუნთული ვაჟბატონის მომცრო სკულპტურა გადასცა წარწერით: „დენვერის" ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშეს, „სკიტას". ცქიტიშვილი მართლაც მონდომებულია. მას სეზონთშორის პერიოდში თითქმის არ დაუსვენია, თუმცა გართობასაც ასწრებდა და სახელგანთქმული დენის როდმანის რესტორანშიც მოულხენია, ვინც ახლა მის გუნდელობას ეშურება...*



ამ ზაფხულს ცქიტიშვილმა კუნთები დაიმსხვილა

— სამი დღეა, სრული შემადგენლობით შევიკრიბეთ. მანამდე კი მხოლოდ ახალგაზრდები ვვარჯიშობდით — გვითხრა ცქიტიშვილმა გუშინ, დენვერში რომ შევეხმიანეთ — აქ ასეთი წესია, ჯერ ახალგაზრდები შეიკრიბებიან და დაახლოებით ერთ კვირაში ვეტერანები ემატებიან.

**— არადა, ახალგაზრდულ „დენვერს" ვეტერანები მართლაც მოუმრავლდა. თქვენი მწვრთნელი ახლა მობერებული დენის როდმანის შემატებასაც ფიქრობს.**

— ჰო, მეც დღეს გავიგე, როდმანი უნდა მოვიდეს ვარჯიშზეო. ჯერ არ ვიცი, რა როგორ იქნება, მაგრამ არა მგონია, მან ძველებურად ითამაშოს. რაც უნდა იყოს, მე მაინც გამიხარდება როდმანის გვერდზე თამაში, ის მოხსნებისა და ფარქვეშა ორთაბრძოლების გენიოსია. გამოცდილი კალათბურთელები კი მართლაც მოგვიმრავლდა, მარკუს კემბის ვოშონ ლენარდი და ანდრე მილერი დაემატნენ.

**— იაპონელ ახალწვეულზე რას იტყვი?**

— იუტა ტაბუსი ძალიან სწრაფი გამთამაშებელია, თუ იყოჩაღებს, ეგებ ათამაშონ კიდეც. მას არ აქვს გარანტირებული კონტრაქტი და თუ არ მოეწონებათ, როცა უნდათ, მაშინ დაითხოვენ გუნდიდან.

**— ახლა შენზეც თქვი, რას ელი მომავალი სეზონისგან?**

— წინასთან შედარებით გაცილებით მეტს, ამის ყველანაირი პირობა არსებობს. ფიზიკურად გავძლიერდი, თან ისე, რომ მიზანი არ გამფუჭებია. წონა და კუნთები რომ მომემატა, სათამაშო ამპლუათა რიცხვიც გამეზარდა, ცენტრის პოზიციაზეც კი მენდობიან უკვე.

**— ვარჯიშებზე თავის გამოჩენა განა საკმარისია საიმისოდ, რომ გული დაიარხეინო, ოფიციალურ თამაშებშიც ვიყოჩაღებო...**

— გეთანხმები, მთლად ერგეც არაა, მაგრამ მე ხომ საზაფხულო ლიგებში ვითამაშე შედეგიანად, სადაც ყველა კალათბურთელი თავს იკლავს თავის გამოსაჩენად. შარშანდელ სეზონთან რა შედარებაა, ახლა ერთიორად მომატებული მაქვს ყველა სათამაშო კომპონენტში. გახსოვს, რომ გეუბნებოდი, ფარქვეშ შესვლა მეშინია, არ გამჭყლიტონ-მეთქი? ახლა კი ისე მოვიმატე, უშიშრად შევდივარ სამწამიანში.

**— ეგ კარგი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელები რას გეუბნებიან?**

— რა მაქვს დასამალი ან სატრაბახო, ბზდელიკი და კლუბის ყველა მესვეური ჩემზე დიდ იმედს ამყარებს, პირდაპირ მეუბნებიან, კლასი აგიმაღლდა და შენი ძალა მომავალ სეზონში უნდა დაამტკიცოო.

**— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხუთეულში გაგამწესებენ. შენი კონკურენტები ვინ არიან?**

— არ ვიცი, არც ისაა გამორიცხული, რომ ხუთეულში ჩამსვან. ჩემი უშუალო კონკურენტები ოთხი ნომრის, თავდამსხმელის პოზიციაზე არიან ფრანცისკო ელსონი და კრის ანდერსონი, მაგრამ შესაძლოა, ნენე ილარიოც ოთხ ნომრად ათამაშონ. გააჩნია, რა ფორმაში იქნება მარკუს კემბი, რომელსაც ტრავმები სტანჯავს და თუ ჯანზე იყო ნენეს ნაცვლად მას ათამაშებენ ცენტრად. ასეთ შემთხვევაში, მე ნენეს შემცვლელი ვიქნები თავდამსხმელის პოზიციაზე. ისე კი, ჩემი სურვილია, საშუალოდ 20 წუთი მაინც ვითამაშო და დაახლოებით ათ ქულამდე გავაკეთო ხოლმე.

**— ჯერ საგამოფენო მატჩებში გმართებს საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება...**

— ჰო, მაგ თამაშებზეც ბევრი რამაა დამოკიდებული, სწორედ ხვალ ვიწყებთ საგამოფენო მატჩებს, „ფინიქსს" ვეთამაშებით დენვერიდან ორიოდ საათის სავალზე. „დენვერის" ფანები განსაკუთრებულად ემზადებიან, 8 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია.

**— ესე იგი, ფინიქსელ ამარე სტუდემაიერთან მოგიწევს ჭიდილი, რომელიც წინა სეზონის საუკეთესო ახალბედაა...**

— ალბათ მომიწევს და მეც ჩემსას ვეცდები. სტუდემაიერი ძირითადად ჯანის წყალობით გადის ფონს. მართალია, მე მასავით დაკუნთული არ ვარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ თავს არ შევირცხვენ. ერთ ამბავს მოგიყვები, „დაკუნთულზე" გამახსენდა... ამას წინათ მთაში წავედით სარბენად. 300-300 დოლარი შევკრიბეთ, რომელიც სირბილში გამარჯვებულს უნდა რგებოდა. ფული კრის ანდერსონმა მოხვეტა, მე კი ერთი რაღაც მაჩუქეს, რამაც ისე გამახარა, ფულის ვერმოგების ბოლმა სულ გამიქრო. ბზდელიკმა შეგვკრიბა და გამოგვიცხადა: ამ საჩუქარს, ჩანთაში რომ მიდევს, იმას გადავცემ, ვინც თავდაუზოგავად ივარჯიშა მთელი ზაფხული, წარმატებას მიაღწია და ჩვენი პატივისცემა დაიმსახურაო. გულში კი გამკრა, ჩემზე ხომ არ ლაპარაკობს-მეთქი, მაგრამ მანამ არ დავიჯერე, სანამ პატარა, ოღონდ ძალიან დაკუნთული რკინის კაცუნა არ გადმომცა, რომელსაც ქვემოთ ეწერა: „დენვერის" ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშესო და ჩემი მეტსახელი „სკიტა" იყო სქლად ამოტვიფრული.

**— თავისუფალი დრო სადღა გექნება, აქამდე როგორ ერთობოდი?**

— ვაჟა კვარაცხელია აქ რომ იყო, კარგ დროს ვატარებდი. ისე კი, ბარ-რესტორნებში დავდივართ ბიჭები, რა თქმა უნდა, გოგოებთან ერთად. ერთხელ სწორედ დენის როდმანის რესტორანში ვიყავით, ძალიან მაგარი ადგილია, კაი გოგოები იყრიან თავს.

**— ჰო, ვაჟამ გვითხრა, ნიკას ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ლამაზმანი ჰყავსო. ერთ-ერთი ვერ ამოარჩიე საცოლედ?**

— არა მგონია, ამერიკელი შევირთო. თუ მაინცდამაინც ქართველი ვერ ვნახე, სერბები მომწონს ძალიან.

**— მერე შენი მანდაური ძმაკაცი პრედრაგ სავოვიჩი სერბი არაა?! წაჰყევი სამშობლოში და ამოარჩიე...**

— სამწუხაროდ, სავოვიჩი დენვერელებმა ბელგიურ გუნდში გაანათხოვრეს, თუმც ფულს იქაც საკმარისად აიღებს, 300 ათასს ერთ სეზონში. სავოვიჩთან ხშირი კავშირი მაქვს და მომავალ ზაფხულს მართლაც ვაპირებთ ბელგრადში ჩასვლას. აქაურ გოგოებს რაც შეეხება, ძალიან ფრთხილად ვარ. ვერ ნახე, კობი ბრაიანტს რა მოუვიდა, ვიღაც მეძავთან დაწოლა ლამის კარიერის დაკარგვად დაუჯდა.

**— ფიქრობ, რომ ამერიკელ ქალებს მხოლოდ ფული აინტერესებთ?**

— ამას დარწმუნებით ვერ ვიტყვი, ადამიანები არიან და გრძნობებიც გააჩნიათ, მაგრამ როცა დიდ ფულზეა ლაპარაკი, ხანდახან გრძნობები ყალბი და გამოგონილია. ყოველ შემთხვევაში, მე სერიოზულად არც ერთ ამერიკელ გოგოს არ ვუყურებ.

**ირაკლი პერტაია**



## დასავლეთის კონფერენცია

### ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი

#### კალგარი ფლეიმსი

ალბათ ბოლო წლებში „კალგარიზე" უნიათო და უიღბლო გუნდი არც მოიძებნება. გუშინდელი ბარტყებიც კი „ნეშვილი" ანაც „მინესოტა" რაღაცას აღწევენ, „ალები" კი აგერ უკვე 7 სეზონია, თითქოს ცოცხალმკვდარნი არიან და მხოლოდ ოცნებობენ პლეი ოფზე. არადა, იყო დრო, „კალგარის" ყველას ეშინოდა და 80-იანების მრისხანე „ედმონტონსაც" კი მოუწია ჩემპიონობისკენ მიმავალი გზის დათმობა. თუმც მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, „კალგარის" ბიუჯეტიც საკმაოდ შემცირდა და წინა სეზონში „ალებმა" ერთადერთი ვარსკვლავი, ჯერომ იგინლაც ძლივს შეინარჩუნეს. მართალია, ფერადკანიანი ფორვარდი შარშან თავის აჩრდილსღა ჰგავდა, მაგრამ მაინც გუნდის მთავარ იმედად რჩება. არის კიდევ ერთი პოზიტიური მომენტი — თავკაცი დუეინ სატერი, რომელმაც იანვარში „კალგარში" მისვლისთანავე მკაცრი დისციპლინა დაამყარა და თავისი ეგრეთ წოდებული „უნონსენსო" დაცვითი სტილის წყალობით გუნდი წინ წასწია.



ჯერომ იგინლა

#### ედმონტონ ოილერსი

„ედმონტონის" თავკაცებსა და მოთამაშეებს კანადელებმა ძეგლი უნდა აუგონ. მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობების გამო გუნდი მდიდარი მეტოქეების ერთგვარ ფარმკლუბად იქცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად ახერხებს კონკურენციის გაწევას. თუმც, საუბედუროდ, „მენავთობეები" სულ მოუხერხებელ მეტოქეს, „დალასს" ეჯახებიან პლეი ოფში, თორემ ვინ იცის, რა მოხდებოდა. გასულ ზაფხულშიც კანადელებმა მორიგი დანაკლისი განიცადეს, მაგრამ წასულებს ნიჭიერი ახალგაზრდობა შეცვლის, რომელთაც გვერდით ვეტერანები — რაიან სმიტი, მაიკ იორკი და კომპანია დაუდგებიან და „ედმონტონი" კვლავაც ერთ-ერთ უსწრაფეს გუნდად მოგვევლინება.

#### მინესოტა უაილდი

მიუხედავად გასულ სეზონში წარმატებისა, გუნდის გენერალური მენეჯერი დუგ რაიზბრი კვლავ და კვლავ იმეორებს, რომ მისი „ველურები" ჯერ მშენებლობის პროცესში არიან და თავადაც ეთანხმება იმ აზრს, რომ მათი პლეი ოფის ნახევარფინალში გასვლა გარკვეულწილად შემთხვევითობა იყო. პლეი ოფის მსვლელობაში „მინესოტას" თავკაცები ყოველი მოგებული მატჩის შემდეგ ამბობდნენ, ეს ჩვენი მთავარი წარმატებააო, მაგრამ „კოლორადოს" „ვანკუვერიც" მიაყოლეს... თუმც დღესდღეობით ეს მაინც რეალური შეფასებაა, მით უმეტეს, რომ კლუბი სეზონს თავისი ლიდერის, მარიან გაბორიკის გარეშე იწყებს. სლოვაკი გაფიცულია და ჯერჯერობით ჩიხიდან გამოსავალი არ ჩანს.



პატრიკ რუა

#### ვანკუვერ კენაქსი

ორი რიგიანი სეზონის შემდეგ „ვანკუვერისგან" ყველა წინსვლას ელის, მით უმეტეს, რომ წლეულს კლუბი უფრო ძლიერი ჩანს. დენ კლუტიეს იოჰან ჰედბერგის სახით კარგი დუბლიორი მოუძებნეს, ხოლო ფორვარდი მაგნუს არვედსონი ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა დაცვითი ფუნქციების შესრულებაში. ამას დაამატეთ უძლიერესი პირველი სამეული, თავკაცი მარკ კროუფორდი, ტყუპი ძმების, სედინების პროგრესი და თავად დაასკვნით, რომ ლიგის ყველაზე შვედური გუნდი (ძირითადში 7 სკანდინავია) სერიოზულად გეგმავს ელიტაში დამკვიდრებას. აი, გადამწყვეტ მომენტებში მაქსიმუმის გამომჟღავნება კი ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს გუნდმა.

#### კოლორადო ევალანში

დღეს მთელი დენვერი დავიდ ებიშერზე ლოცულობს. შეძლებს შვეიცარიელი მეკარე იმ უდიდესი ტვირთის ზიდვას, რაც პატრიკ რუას წასვლის შემდეგ დააწვა? ერთია, როცა „წმინდა პატრიკის" ზურგს უკან ხარ და ძირითადში ეპიზოდურად გამოსვლისას კარგად გამოიყურები, მაგრამ სულ სხვაა, როცა გუნდის პირველი მეკარე ხდები, ანუ ცნობილი ანდაზისა არ იყოს, გუნდის ნახევარი ხარ. არადა, კოლორადოელებმა ზაფხულში უდიდესი სელექციური სამუშაო ჩაატარეს და ტეემუ სელიანესა და პოლ კარიას ბრწყინვალე დუეტის გარდა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოთამაშე შეიმატეს, თუმც ელიტარული მეკარის გამოძებნას თავი აარიდეს. ეს კია, თუ ებიშერი ნდობას ვერ გაამართლებს, ქვეყანა არ დაიქცევა, საიმედო გოლკიპერის შეძენა ხომ შუა სეზონშიც შეიძლება.

**სამველ ლარიბიანი**

# გუბერ-ტერმი-ნატორი

ავსტრიული წარმოშობის ამერიკელ მთავარს, არნოლდ შვარცენეგერს აქამდე როგორც ერთ უგანთქმულეს კულტურისტსა და კონან-ტერმინატორს ვიცნობდით, გუშინდლის მერე კი მის სახელსა და გვარს წინ ორი სიტყვაც უნდა დავურთოთ: „კალიფორნიის გუბერნატორი"! მიუხედავად მის წინააღმდეგ გაჩაღებული შავი სექსპიარისა, მსოფლიო სპორტის ამავდარმა გოლიათმა მაინც დამაჯერებლად შეძლო სპორტულ-მსახიობური კარიერა პოლიტიკურზე გადაეცვალა... ეს ჯანიანი ბიჭები კი ერაყელი კულტურისტები გახლავან. მარჯვენა კუთხეში მათი მწვრთნელი დგას და თავის სიჭაბუკის ფოტოს გვიჩვენებს. ოსტატსა და შეგირდებს — ერაყული დემოკრატიის ამჟამინდელ ვავლახ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ — გუბერნატორობა ჯერ არ „ემუქრებათ", მაგრამ თავიანთ წილ ამბიციას ისინი მაინც მოიძევენ: როგორც სოკ-ის პრეზიდენტმა, უდე როგმა განაცხადა, ერაყელ სპორტსმენებს ავლანელებისა და აღმოსავლეთ ტიმორელების მსგავსად, სავაისო ათენის ოლიმპიადაზე მონაწილეობაში ხელს ვერაფერი შეუშლის.



REUTERS



REUTERS

# იზაბელ!

პარიზის მახლობლად, ლონგშანში ყოველწლიურად „პრი დე ლარკ ტრიონფად" წოდებული 2,4-კილომეტრიანი დოღი იმართება. წლეულს ეს დოღი ბელგიელმა ჟოკეიმ, კრისტოფ სუმიონმა და მაჯანი ალა ხანის ცხენმა, დალახანმა მოიგო. თუმცა ამ სამივეზე მეტად ჩვენ ვინძლო ეს ორმოცს გადაცილებული ბანოვანი გვაინტერესებდეს. იცანით, არა? — მისი უეშხოვნესობა დედოფალი მარგო. იზაბელ აჯანი...



REUTERS

# რობერტო და ხისელე

პუერტორიკული, სან ხუანში „მაიამი ჰიტისა" და „ფილადელფია 76"-ის საჩვენებელი მატჩი შედგა. სხვა, მეტნაკლებად ცნობილ ხალხს შორის ამხანაგურ ბურთაობას ჩიკაგოური „უაიტ ბოქსის" მებეისბოლე რობერტო ალომარიცა და მისი ნაშა ხისელე — მომღერალი და ლათინური გრემის ნომინანტიც დაესწრნენ.



REUTERS




REUTERS

# საოქროვე ჩხვლეტა

იტალიელი ვალენტინა ვეძალი პოლონელი სილვია გრუჩალას ჩხვლეტს და მსოფლიო ოქროს ეუფლება. პირველობას ჰავანა მასპინძლობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge